ᲙᲕᲐᲚᲘ

ეროვნული ბიბლიოთეკა

წელიწადი | ᲧᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ | მეთერთმეტე

№ 24 | **ᲙᲕᲘᲠᲐ, 13 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ 1903 Წ.** | **№ 24**

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ: ერთი წლით ტფილისში 7 მან., ნახევარი წლით 3 მან. და 50 კაპ.; ტფილისს გარეთ: ერთი წლით 8 მან., ნახევარი წლით 4 მან., სამი თვით 2 მან., თითო ნომერი—15 კაპ.

ხელის მოწერა მიიღება: ტფილისში—«წერა-კითხვის გამავრცელელებელ საზოგადოების» კანცელარიაში და «კვალის» რედაქციაში, საპოლრის ქუჩაზე, № 35. **ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ № 734.**

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газеты „КВАЛИ“.

ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘ: რომის პაპი ლეონ მე-XIII, გვაბრათელისა.—შინაური მიმოხილვა.—მთავრობის განცხადება. დეპეშა.—სხვა-და-სხვა ამბები.—კორესპონდენციები.—რუსეთის ცხოვრება.—საზღვარ-გარეთ.—*** ლექსი, დარია ხუნდაძისა —ძიძა, მოთხრობა ნ. ნაკაშაძისა.—ჩვენი კერა, ლექსი ახოსპირელისა.—კიდევ ოპპორტუნიზმის მოტრფიალეს, ლ. ნ.-სა. — ჟურნალ-გაზეთებიდან.— ღია წერილი.—წერილები რედაქციის მიმართ და განცხადებანი.

რომის პაპი ლეონ XIII.

6 ივლისს, კარგა ხნის ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა 93 წლის მოხუცი, რომის პაპი ლეონ XIII (ერის კაცობაში გიოახინო პეჩჩი). განსვენებული პაპი ჩამომავლობით აზნაური იყო. განათლება მიიღო იეზუიტთა კოლეგიაში და "Collegium Romanum"-ში რომს. 1832 წ. ღვთის მეტყვ. დოქტორის ხარისხი მიიღო. 1837 წელს ღვდლათ შევიდა. ამ წლიდან იწყება მისი საეკლესიო და პოლიტიკური მოღვაწეობა: ის ინიშნება ჯერ პაპის დელეგატათ ვენეციაში, შემდეგ პერუჯიაში, 1843—მთავარ-ეპისკოპოსათ, შემდეგ პაპის ელჩათ ბრიუსელში და სხვ. 1878 წ. ის აირჩიეს პაპათ ლეონ XIII სახელით. მოგეხსენებათ, როგორ სარგებლობდენ საშუალო საუკუნოების პაპები პეტრე მოციქულის ტახტით, როგორ ავლებდენ მუსრს ყველას, ვინც მათ ურჩობას გაბედავდა. ისინი არა მარტო სულს განაგებდენ, არამედ ხორცსაც და საერო მთავრობა ხელში ყავდათ. მაგრამ დრონი იცვალენ. ამით ისარგებლა ევროპის საერო მთავრობამ, პაპს შეებრძოლა და საერო უფლებაზე ხელის აღება მოსთხოვა. პაპს თანდათან ეცლებოდა ხელიდან უფლება და ბოლოს (1869 წ.) იტალიაშიც და კარგა საერო უფლება და მარტო სულიერ ბატონ-პატრონათ იქნა აღიარებული. როგორც ხედავთ, ხალხის ბედ-იღბალი ისევ სხვების ხელში დარჩა, მაგრამ სასულიერო პირთა პარპაშის მოსპობამ საერო საქმეებში მაინც მოუტანა მას ცოტა სარგებლობა. პაპის საერო უფლება საბოლოოთ პიუს IX დროს გაუქმდა. პიუსმა ბევრი ენერგია დახარჯა საქმის გასასწორებლათ, მაგრამ ცხოვრების მიერ დამარცხებული ის აბა რას გახდებოდა. სულ სხვა გზას დაადგა პიუსის მოადგილე—ლეონ მე-XIII. დროთა ვითარებამ მას ცხადათ დაანახვა, რომ საშუალო საუკუნოების დაბრუნება შეუძლებელი იყო და ისევ დიპლომატიურ ხრიკებს მიმართა. ეს არც ძნელი მისაღწევი იყო მისთვის, რადგან ის ბუნებრივი ჭკუით უხვათ იყო დაჯილდოვებული და განათლებაც იეზუიტთა კოლეგიაში მიიღო. თუ იმის საერო ბატონობას ფრთები ქონდა შეკვეცილი, სამაგიეროთ კათოლიკე ხალხის სული და გული ხომ მთელ ევროპაში მას ემორჩილებოდა და ეს არც ისე მცირე ძალაა. პიუსის მოადგილემაც აქ იწყო მოქმედება. ჯერ კიდევ 1878 წელს გამოსცა თავისი შესანიშნავი „ენციკლიკა სოციალისტების, კომმუნისტებისა და ნიღილისტების“ შესახებ და მათი მოქმედება, როგორც ქრისტეს მოძღვრების წინააღმდეგი, სასტიკათ დაგმო. სამაგიეროთ მან განიძრახა თავისებური „სოციალიზმის“ დაარსება, რომლის მეთაურობა თვითონ დაიწყო. მაგრამ, მოგეხსენებათ, თომა აკვინელის და მისთანაების ავტორიტეტით ფონს გასვლა ადვილი არ არის და პაპიც საუცხოოთ დამარცხდა. სამაგიეროთ იმან მიყო ხელი ევროპის კათოლიკე პარტიების მჭიდროთ შეკავშირებას და, რადგან პირობები ხელს უწყობდა, მისმა მოქმედებამ აქ საკმაო ნაყოფი გამოიღო. მაგალითისთვის საჭიროა მივმართოთ გერმანიასა და საფრანგეთს. გერმანიის რეიხსტაგში პირველი ადგილი ეგრეთ წოდებულ ცენტრს ან კათოლიკეთა პარტიას უჭირავს, ამ პარტიის სულის ჩამდგმელათ კი პაპი უნდა ჩაითვალოს. საკვირველია, რომ განსვენებული პაპი ლიბერალის სახელით მონათლეს, თუმცა ის სულითა და გულით კონსერვატორი იყო და არც შეეძლო სხვა რამე ყოფილიყო, თუ პეტრე მოციქულის ტახტის დაკარგვა არ სურდა. თუ რა გავლენა ქონდა და ჯერ კიდევ აქვს პაპს საფრანგეთის სკოლასა და ოჯახში—ეს კარგათ იცის ყველამ, ვინც საფრანგეთის ამბებს თვალ ყურს ადევნებს. როგორც ვთქვით, პაპი საუცხოო დიპლომატი იყო. მან, სადაც საჭიროება მოითხოვდა, დათმობაც იცოდა. ერთი სიტყვით, ის თავის მოქმედებაში სრულიათ რეალურ ნიადაგზე იდგა, ე. ი. ის არ ებღაუჭებოდა იმას, რაც შეუძლებელი იყო, მაგრამ, ჩვეულება რჯულზე უმტკიცესია, და ვვრც პაპმა აიცდინა თავიდან ამ ჭეშმარიტების სამართლიანობა. ავიდა თუ არა პაპის ტახტზე, იმან გამოსცა ენციკლიკა, რომლითაც დაგმო საერო მთავრობა, რომელმაც პაპს საერო უფლება წაართვა, და მტაცებელი უწოდა მას. თავის თხზულებებში ხშირათ ატარებდა აზრს პაპის ძველებური უფლების აღდგენის შესახებ, მაგრამ ეს მას თვითონ არ სწამდა, რაც თავისი მოქმედებით დაამტკიცა.

გარდაიცვალა პაპი. მის ალაგს მრავალ კანდიდატს ასახელებენ. თან იმასაც დასძენენ, რომ ეს კანდიდატები სხვა დასხვა მიმართულებისანი არიანო. ჩვენი ფიქრით პაპის ტახტის კანდიდატებში პრინციპიალური განსხვავება შეუძლებელია და სულ ერთია, ვინც იქნება არჩეული.

გვაბრათელი.

შინაური მიმოხილვა.

დღევანდელი ჩვენი მიმოხილვა პატარა ნეკროლოგით უნდა დავიწყოთ. არ იფიქროთ კი რომ ან რომის პაპი იქნეს ჩვენი საგანი ან სხვა ვინმე ისეთი წარჩინებული. არა ჩვენ ვერ მოგვიშორებია თვალთაგან იმ უბრალო მიწის მთხრელ მუშების დამახინჯებული სახეები, რომელთაც ტფილისის მემამულე ცაპინმა გაუთხარა საფლავი თავის მამულში. არც ასეთი შემთხვევებია იშვიათი ჩვენს ცხოვრებაში, რადგან ცაპინები არიან ტონის მიმცემნი ცხოვრებისა, ხოლო ის უდროვოთ დასაფლავებულნი ცხოვრებისგან მოძულებული და გარიყული არიან ჯერჯერობით. და კიდევ არა ერთსა და ორს გაეთხრება უდროვოთ საფლავი; ასე იქნება, სანამ თვით ცაპინების ნეკროლოგი არ დაიწერება, ამას კი ბედნიერი მოესწრება... დღეს კი ქვეყანა ცაპინებისაა და სანამ დრო აქვთ, ასაფლავებენ... დიახ, ეს „ნორმალური“ მოვლენაა ცხოვრებაში, მაგრამ მიუხედავათ ამისა ამ უბედურებამ მიიქცია საზოგადოების ყურადღება. ხუთმა მუშამ, ოთხმა სომეხმა და ერთმა რუსმა სული განუტევეს სწორეთ იმ ზვავის ქვეშ, რომლის მთა ხელს უშლიდა ბ. ცაპინს სახლის აგებაში, თითქო ამ უბედურთა ბრალი ყოფილიყოს, რომ იქ მთიანი ადგილი იყო. „საშინლათ დასახიჩრებული იყვნენ ტრაგიკულათ გარდაცვლილი მუშებიო“, სწერს „Тиф. Лист.“-ი, დამსხვრეული ქონდათ ძვლები, სახეები იმდენათ დაჭეჭყილი, რომ ცნობაც არ შეიძლებოდა, თავის ქალა დამსხვრეული, ნაწლევები გადმოყრილი“. მიზეზიც ამ უბედურებისა ჩვეულებრივი იყო. პირველი, რასაკვირველია, ცაპინის ეკონომიაა: მას ხელსაყრელათ დაუნახავს მიწის ზევიდან აღების ნაცვლათ მთის ძირის გამოთხრა,—ასე თავის თავათ ჩამოინგრევა მიწაო და ამასთან, რასაკვირველია, არაფერი ტეხნიკური ზომები არ მიუღია უბედურების ასაცილებლათ. მეორე კიდევ ჩვენი ქალაქის მამების საქმიანობა, რომელთა პირდაპირი მოვალეობაა თვალ ყური ადევნონ სახლების აშენების საქმეს, რომ იგი წარმოებდეს სავალდებულო წესების დაცვით და მით უბედურებას გადარჩეს მუშები, გამვლელ გამომვლელი და ბინადრებიც. მაგრამ რა უნდა მოვთხოვოთ იმ დაწესებულებას, რომელიც ცაპინისთანა «ეკონომისტებისაგან» შესდგება და „ეკონომიურათ“ ადევნებს თვალყურს ყველაფერს... ასე რომ არ იყოს, არც ეს შემთხვევა მოხდებოდა, რადგან ცაპინს თავისი მიწის სამუშაო აპრილიდან დაუწყია და ორი უბედური შემთხვევა კიდეც მომხდარა მის ადგილზე. ერთი ამათგან სიკვდილით დამთავრებულა, მეორეს კი ქუჩაზე გამოუყვანია სამათხოვროთ მცირეწლოვანი შვილები, რომელნიც ამ ძალაუნებურათ აღებული ხელობით არჩენენ ცაპინის მამულში დავრდომილ მამას და შრომისაგან ილაჯ გაწყვეტილ და დაავათმყოფებულ დედას...

*
* *

მაინც, ვისზე ზრუნავს ჩვენი ქალაქი, ვისთვის ბჭობენ ჩვენი მამები? ai კითხვა რომელიც გებადება კაცს, როცა მათ ნაღვაწ-ნამოქმედარს უყურებ. ზევით დავინახეთ ვისზე არ ზრუნავს და აქედან ადვილი მისახვედრია ვისზედაც ზრუნავენ, მაგრამ ხანდისხან ისეთ პრტყელ სიტყვებს გააქვს რახა-რუხი, ისეთ რეჩებს ისმენთ ამ მამათა დარბაზში, რომ გაკვირვებას ეძლევი და ფიქრობ, იმის მეათედს მაინც რომ ნამდვილ გრძნობდენ, რასაც ამბობენ, მეასედი რომ გამჯდარი ქონდესთ გულში, მაშინ ჩვენი საქმე სულ სხვა რიგათ მოეწყობოდა თქო. ეს ხდება, როცა ინტელიგენტთა საბჭოში რომელიმე ფილანტროპიული კითხვა ამოყოფს შემთხვევით თავს. მაშინ დაიგრძელებენ ენას ჩვენი ინტელიგენტები, იტყვიან სანტიმენტალურ სიტყვებს და საქმეს .. კომისიაში გადაცემენ. ასე მოხდა საბჭოს უკანასკნელ სხდომებზედაც, როცა კვირა უქმე დღეებში ვაჭრობის შეჩერებაზე ჩამოვარდა ლაპარაკი. მაგრამ, უშველოს ღმერთმა ქალაქის მოურავს, მან პირდაპირ და აშკარათ გამოაცხადა, რომ ამ საკითხს არავითარი კავშირი არა აქვს ნოქრების დასვენებასთან, მათი სამუშაო დღის განსაზღვრასთან და ტყუილათ ნუ იწუხებთ თასვ გრძნობიერი სიტყვების წარმოთქმითო, და ვინც არ დაუჯერა —ზარა მიაბჯინა ბაგებზე. მაგრამ გაუგებარი კია, მაშ რათ წარდგა ეს კითხვა „განათლებული“ კრებულის წინაშე. აღები ხომ არ ითხოვდენ, ან კი რა აქვთ სათხოვარი, განა მათ ხელში არ არის დახურვაც და გაღებაც სავაჭროებისა? დარბაზიც სულ სხვას მოწმობდა—იგი სავსე იყო ნოქრებით, რომელთაც მოჩვენებოდათ, ჩვენზედაც დაიწყო ქალაქმა ზრუნვაო. ბოლოს ეს კითხვა, „როგორც მეტათ სერიოზული და დიდმნიშვნელოვანი»... გადაეცა კომისიას, და ამ რიგათ ზაფხული კიდევ ძველი წესით ჩაივლის.. მაგრამ ჩვენი მამების დაუხმარებლათაც მოუწყვიათ საქმე ნოქრებს და დღეს ბევრ ადგილს ტფილისში მხოლოთ რვიდან რვა საათამდე სწარმოებს ვაჭრობა ამ ბოლო დღეებში.

*
* *

ვერ სწარმოებს რიგიანათ ვაჭრობა ჩვენ თეატრში, რის მიზეზი ჩვენი „საზოგადოების“ გულ-გრილობაა, თუმცა „ივერიის“ ერთი თანამშრომელი დიდი თავგამოდებით ამართლებდა ამ გულგრილობას. მეორე მიზეზი, ჩვენი აზრით, კიდევ ის არის, რომ საქმის მეთაურთ ვერ მიუგნიათ გარკვევით თავისი საზოგადოებისათვის, სწორეთ იმ ხალხისათვის, რომელიც დღეს დედა-ბოძია ყოველი ეროვნულ-კულტურული საქმისა, და ამიტომაც ვერ იკიდებს ფეხს ისე მაგრათ თეატრი, როგორც საჭიროა. არის სხვა მიზეზებიც, როგორც მაგალითათ, რეპერტუარი, მაგრამ თვით გამგეობამ წელს ყურადღება მიაქცია რეჟისსურას და მის დაყენებას ფიქრობს რიგიანათ. ამ მიზნით მას გადაუწყვეტია მომავალი სეზონისთვის რეჟისორათ მოიწვიოს ბ. აკაკი. აკაკი რომ ყოველიკე კეთილი საქმის გულშემატკივარია და ეცდება საქმის დაყენებას, ეს აშკარაა ყველასთვის; გარდა ამისა შეიძლება რეკლამაც ქონდათ სახეში, როცა აკაკის იწვევდენ, რადგან მისი სახელი მომხიბლავია ბევრისათვის, და შეიძლება არც შეცდენ, მაგრამ ჩვენი თეატრის რეჟისორს იმდენი შრომა ეჭირვება, რომ ჩვენ საჭვოთ მიგვაჩნია, მისი ატანა შეძლოს აკაკიმ, თუ დათანხმდა. გვიკვირს რათ დაუნახავთ აუცილებელ საჭიროებათ არა არტისტი-რეჟისორის ყოლა. თუ უხერხულათ მიაჩნიათ ერთი არტისტთაგანი იქნეს ჩვენი სცენის ხელმძღვანელი, შეიძლებოდა რამდენიმესთვის მიენდოთ ეს საქმე მორიგეობით. არ გვაქვს წარმოდგენილი, ჩვენი არტისტები იმდენათ მოკლებული იყონ დისციპლინას, რომ საამხანაგოთ ვერ მოაწყონ რეჟისსურა. ასეთი წესი იყო მაგალითათ ამ რამდენიმე წლის წინეთ მოსკოვის პატარა თეატრში. თუ იმ გამოცდილებაზე ამყარებენ თავის აზრს, რომ ჩვენ სცენაზე იშვიათია რიგიანი ანსამბლი, ამის მიზეზი უმთავრესათ არტისტების უზრუნველყოფას მოკლებაა, რის გამო ისინი იძულებული არიან სხვაგან ეძიონ საიმედო ლუკმა, ეს კი რასაკვირველია დროს ართმევს მათ. სანამ ეს კითხვა

არ მოეწყობა, ყოველთვის იკოჭლებს ჩვენი თეატრი და აი აქედან უნდა თავის მოვლა საქმეს...

*
* *

კარგათ ვაჭრობს მხოლოთ ქუთაისის ლესეპსი—ინჟინერი ბ. მიხაილოვი, რომელსაც, როგორც „Н. О.“ გვაუწყებს (ეს ხომ სანდო წყაროა), ქუთაისის წყლის მილისათვის 82 ათასი მანათი შეუკრებია თავის პაიშჩიკებში, ხოლო სად წავიდა ეს ფული, კაცმა არ იცის, და როგორც იგივე გაზეთი ამბობს, ადგილობრივი წევრები მზათ არიან ენერგიული ზომები მიიღონ მის წინააღმდეგ, მაგრამ აჩერებთ ზოგიერთი ქუთაისის და ზოგიერთსაც აქაური „მოღვაწეების“ სახელი, რომელნიც ახლო დგანან საქმესთან. აი, ასეთ კაცს უბოძა გამოჩენილი მოღვაწის, და დიდი ფილანტროპის დიპლომი და ოვაცია გაუმართა ბ. ზდანოვიჩმა თავის პარტიით უკეთ რომ ვთქვათ, ბანდით ამ წლის დასაწყისში. მაგრამ ეს ჯერ კოკრებია, ნაყოფი კი წინ იქნებიან!..

*
* *

ახირებულ ყოფაქცევას ადგიან ბათუმელი ხმოსნები. მათ ასარჩევი ყავთ ქალაქის თავის მოადგილე; ამ თანამდებობაზე შეიძლება მხოლოთ გამგეობის წევრთაგან ერთ-ერთის არჩევა. ასე რომ გამგეობის წევრებით არის განსაზღვრული ასარჩევ პირთა კონტინგენტი, ე. ი. უნდა აირჩიონ ან ჟურული, ან ივანოვი. მთელი ბათომის საბჭო ორ ბანაკათ არის გაყოფილი. ერთი შედგება ქართველებისაგან, მეორე კი ყველა დანარჩენ ეროვნობის ხმოსნებისაგან. აი ამ მეორე პარტიას არ სურს რატომღაც ქალაქის მოურავის მოადგილეთ აირჩიონ ბ. ჟურული, თან იმდენი ხმები არა აქვთ, რომ თავისი კანდიდატი, ივანოვი გაიყვანონ და ამის გამო დადგომიან „ობსტრუქციას“. ისინი, როცა არჩევანზე მიდგება საქმე, დარბაზს ტოვებენ, და საბჭოც, ანუ უკეთ ვთქვათ მისი უმრავლესობა, ვეღარ ახდენს არჩევნებს, რადგან კანონიერი რიცხვი ხმოსნების არ რჩება დარბაზში. ასე მოხდა ორჯერ. ამ უმცირესობას, ანუ ოპოზიციას, რომელსაც სახელოვანი პალმი მეთაურობს, ამით უნდა გავიდეს ფონს. შეიძლება ზოგიერთებს სირცხვილიც უნდათ აიცილონ თავიდან, რადგან ბ. ივანოვის მომხრეობა არც ისე სასახელოა, რომ ყველამ აშკარათ აღიაროს. მაგრამ აქ ბავშვური მალულობაა გამოუდით ამ ვაჟბატონებს. აშკარაა, ისინი იმ იმედით მოქმედებენ, რომ თუ არავინ აირჩია საბჭომ, მაშინ ივანოვს დანიშნავენ, ეს ყველასათვის დღესავით ცხადია. მაგრამ ამას ნუ გამოვეკიდებით, შეიძლება არც ბ. ჟურული იყოს სასურველი ამ თანამდებობისათვის, არც ამაზე გავუწევთ დიდ დავას ბათუმელ ოპპოზიციონისტებს. მარა რათ ღალატობენ თვითმართველობის საქმეს, რატომ უარყოფენ იმ მნიშვნელოვან ფუნქციას, რომელიც კიდევ დარჩენია ქალაქს? ნუ თუ მარტო ჟინით უნდა იხელმძღვანელონ ამომრჩევლებმა ამისთანა საქმეში? ნუ თუ არა აქვთ შეგნებული, რომ ყველაზე უფრო გარეშე ძალისა და პირების ჩარევას უნდა ერიდოს თვითმართველობა? ნუ თუ ესეც ვერ შეიგნეს ბათუმელებმა ამ თხუთმეტი წლის განმავლობაში! აი ამას უნდა დაუკვირდნენ ბათუმელები და ისე იმოქმედონ.

მთავრობის განცხადება.

ზოლოტოვის ქალის საქმის გამო.

მკითხველებს ეხსომებათ ტატიანა ზოლოტოვის ქალის საქმე. ეს ქალი მოკვდა 1902 წელს, 6 მაისს. იმის მოკვლას ხალხი აბრალებდა გამომძიებელს, მოსამართლეს და ყაზახებს. „პრავ. ვესტნიკში“ დაიბეჭდა ოფიციალური განცხადება იუსტიციის სამინისტროსი. სამინასტრო უარყოფდა ყველა იმას, რასაც ხალხში ლაპარაკობდენ, და ამბობდა, რომ ზოლოტოვის ქალი გარყვნილი იყო, ვაგონში ქოლგა და დაშნა მოპარა მოსამართლეს, რისთვისაც დააპატიმრეს, და რომ, დასასრულ, დაპატიმრებულმა თვით მოიწამლა თავი და არა მოკლეს ნამუსის ახდისა და გაუპატიურების შემდეგ, როგორც ხალხში ამბობდენო. სამინისტროს განცხადებამ მითქმა მოთქმას ბოლო ვერ მოუღო. პირიქით, ხალხში ხმა გავრცელდა, რომ სამინისტრო თავის მოხელეებს ხელს აფარებსო. ბოლოს, 16 იანვარს „პეტ. ვედ.“-ში დაიბეჭდა წერილი თავად მიხეილ ანდრონიკაშვილისა, რომელიც აშკარათ ამბობდა, რომ ტატიანა ზოლოტოვის ქალი მოხელეთა და ყაზახთა ძალ-მომრეობის მსხვერპლი გახდა და რომ თვით სამინისტრო ხელს აფარებს თავის მოხელეებსაო. თავ. ანდრონიკაშვილს ადგილობრივ გამოუძიებია საქმე და გაუგია, რომ ამავე ზოლოტოვის ქალის მოკვლის გამო მუშებმა ტიხორეცკის სადგურზე 1902 წელს 9 მაისს არეულობა მოახდინეს. თავ. ანდრონიკაშვილის წერილთან ერთად „პეტ. ვედ.“-ში დაიბეჭდა ბ-ნ მეჩტატელის (ფსევდონიმია ნაფიც ვექილის ტროზინერისა) წერილი: „გაჩუმება შეუძლებელია“. მეორე დღესვე „პრავ. ვესტ.“-ში დაიბეჭდა მთავრობის განცადება ახალ გამოძიების დანიშვნის შესახებ. გამოძიება მიენდო პეტერბურგელ გამომძიებელს ბურცოვს. ხელმძღვანელობდა ტფილისის სამოსამართლო პალატის ბრალმდებელი ბ-ნი კოვალენსკი. ახლა «პრავიტ. ვესტნიკ»-ში (3 ივლისისა, № 148) დაბეჭდილია მთავრობის განცხადება ამ გამოძიების შედეგის შესახებ.

მთავრობის განცხადებაში ნათქვამია, რომ ამ საქმის გამო ჩვენება 200 მოწმეს ჩამოერთვა და ნათლათ დამტკიცდა სიმართლე უკვე გამოქვეყნებულ წინანდელ გამოძიებისა. დამტკიცდა სიცრუე იმ ხმებისა, ვითომ ზოლოტოვის ქალი ძალათ მოკლეს, ვითომ იმას უკანონოთ მოეპყრენ გამომძიებელი პუსეპპი და მოსამართლე დობროვოლსკიო. კერძოთ, როგორც «პრავიტ. ვესტ.“-შია ნათქვამი, გამორკვეულა შემდეგი:

1) ტატიანა ზოლოტოვის ასული, მეჩექმის ქალი, 16 წლიდან სიკვდილამდე ლოთობდა და გარყვნილებას ეძლეოდა. 1898 წლიდან, როგორც გარყვნილი ქალი, ამგვარ ქალთათვის დაწესებულ ბილეთით ცხოვრობდა პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ.

2) 1902 წელს, 30 აპრილს ზოლოტოვის ასული მესამე კლასის ვაგონით ეკატერინოდარიდან ნოვოპოკროვის სტანციაში წავიდა სასტუმროს პატრონ ბალიჩევთან, რომელმაც ზოლოტოვისა და ორი სხვა როსკიპი ქალი—რებრიევის და კლუევის—იარმუკობისთვის დაიქირავა. ეს მატარებელი ტიხორეცკში მივიდა 1 მაისს, დილის 3 ს. 25 წ. უნდა გაჩერებულიყო იქ 7 საათამდე.

3) ამ მატარებელში არც გამომძიებელი პუსეპპი და არც მოსამართლე დობროვოლსკი არა ყოფილან. პირველი სტანციაში იყო და სადგურზე არ გასულა, ხოლო მეორე ამ დილით კავკავის მატარებლით მოვიდა და იმ მატარებლის მეორე კლასის ვაგონში გადავიდა, რომელშიაც ქალები ისხდენ.

4) ამ ვაგონში გადასვლის შემდეგ, დობროვოლსკიმ შეამჩნია, რომ დაკარგვია ქოლგა და დაშნა. მოუპარავთ მაშინ, როდესაც დობროვოლსკი ბუფეტში ჩაისა სვამდა. ამ ვაგონში მყოფ ვაჭარ ყაზახს კოზინცევს უთქვამს, რომ ვიღაც ქალი შემოვიდა და ნივთები წაიღოო. ეს ქალი ტატიანა ზოლოტოვისა აღმოჩნდა. ზოლოტოვისა ამ დროს მთვრალი იყოო, ნათქვამია განცხადებაში, და ლანძღვა დაუწყო დობროვოლს-

კის, როდესაც ამ უკანასკნელს ნივთები მოთხოვეთ. დაუძახნიათ ჟანდარმის უნტერ-ოფიცრის ბეზხმელნიცკისათვის. ამან ნივთები იმ ვაგონში იპოვნა, რომელშიაც ზოლოტოვისა და იმისი ამხანაგები იყვენ. ნივთები აღმოჩნდა ზოლოტოვის ადგილის მახლობლათ იქ, სადაც მგზავრი ეკატერინე გამსახურდია იჯდა. გამოირკვა, რომ ნივთები ვაგონში ზოლოტოვის ქალმა შეიტანა. მაშინ უნტერ-ოფიცერმა დაუპატიმრა ზოლოტოვის ქალი და სვდგურზე სამორიგეო ოთახში ჩასვა. აქ ქალი ცდილობდა ხელსახოცით თავის დახრჩობას. როდესაც მატარებელი წავიდა, ქალი სტანიცის საპატიმროში გადაიყვანეს, სადაც იგი სიკვდილამდე იმყოფებოდა ყაზახების ზედამხედველობის ქვეშ. ზოლოტოვის საქმე ამის შემდეგ გამოძიებელს პუსეპს გადაეცა. რომელმაც გამოკითხა მოწმეებს და თვით ზოლოტოვის ქალს. ქალის დროებით განსათავისუფლებლათ მოითხოვა, კანონის ძალით, პასუხის მგებლობა 100 მანეთის შეტანით, ხოლო ამ ფულის შეტანამდე გადასწვეტა, რომ პატიმარი ეტაფით ეკატერინოდარის საპყრობილეში გაიგზავნოს. ქალის თხოვნით ეს გადაწყვეტილება არ აუსრულებიათ და ზოლოტოვი ტიხორეცკ'შივე დაუტოვებიათ.

5) ტიხორეცკის საპატიმროში ყოფნის დროს ზოლოტოვის ქალის მიმართ ძალა არავის უხმარია. პირიქით, სტანიცის ატამანის თანაშემწის ბგანცებისა და ყაზახ დარაჯების მეოხებით ზოლოტოვის ქალს მეტი თავისუფლება ქონდა. ხშირათ შედიოდენ ქალთან ვიღაც-ვიღაცები, ამას გარდა ქალი ყაზახებთან არაყსა სვამდა და ქეიფობდა. ბგანცევის სისუსტის გამო, რომელისამე ყაზახის თანხლებით ზოლოტოვისა ხშირათ გამოდიოდა სატუსაღოდან და დადიოდა სტანიცაში. ამ დროს შეიძინა ქალმა აფთიაქში შხამიანი ნივთიერება—კარბოლის სიმჟავე.

7) ზოლოტოვის ქალის სიკვდილი უსათუოთ შედეგი იყო თავის მოწამვლისა. ამ აზრს დაადგენ ექიმები ფიშბერგი და ფოლფსონი. ყუბანის ოლქის სამკურნალო გამგეობამაც მოახდინა ქიმიო-მიკროსკობიული გამოკვლევა. თუმა ამ გამოკვლევის დროს ზოლოტოვის გვამში საწამლავი არ აღმოჩნდა, მაგრამ ეს გამგეობაც ზემოხსენებულ ექიმების აზრს დაადგა. შემდეგ, გამოძიების დროს, ექსპერტებათ მიუწვევიათ პროფესორები ივანოვსკი და კოსოროტოვი, რომელთაც დაწვრილებით გამოიკვლიეს და იმ დასკვნას დაადგენო, ნათქვამია განცხადებაში, რომ ზოლოტოვის ქალმა თვით მოიწამლა თავი, რომ იმისთვის პირში საწამლავი არ ჩაუსხამთ, რომ ძალა არავის უხმარია, თუმცა საფიქრებელია, რომ სიცოცხლის უკანასკნელ დღეებში ზოლოტოვის ქალს მამა-კაცებთან ქონდა საქმეო.

ეი, ეს გამოურკვევია საგანგებო გამოძიებას. „თავის მოკვლას იმიტომ განიზრახავდა ზოლოტოვისაო, ნათქვამია, რომ ჯერ ერთი, მუდამ ლოთობდა და ქეიფობდა, რისგამო წინეთაც მოისურვა თავის მოკვლა, მეორე—აშინებდა ეტაფით გაგზავნა ეკატერინოდარში, სადაც დედ-მამა და ნათესავები ყავდა“. ეს საქმე გამომძიებელს ბურცოვს ეკატერინოდარის ოლქის სასამართლოსთვის გადაუცია, რომელსაც 6 ივნიისს დაუდგენია, საქმე მოისპოს, რადგან დანაშაულობა არ გამოირკვეო.

ზოლოტოვის საქმის გამოძიება ადგილობრივ საოლქო ადმინისტრაციასაც მიანდეს. გამოირკვა რომ ატამანი და ყაზახები ძალიან შეღავათიანათ ექცეოდენ პატიმარ ქალს, რის გამო იმათ წინააღმდეგ საქმე აღიძრა. რაც შეეხება მუშათა უწესოებას 1902 წელს 9 მაისს, ამ საქმეს წესიერი მსვლელობა მიეცა. იგი შეტანილი იქნება ეკატერინოდარის ოლქის სასამართლოში. მუშებს ბრალდებათ უწესოების მოხდენა, სახელდობრ საპოლიციო სახლის აკლება და სხვა ბოროტების ჩადენა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამომძიებელს პუსეპს საჩივარი აღუძრავს „პეტ. ბედ.“-ის რედაქტორის თავ. უხტომსკისა და თანაშრომლის ნ. ეფრემოვის წინააღმდეგ. უჩივის ცილის-წამებას. რადგან ამ საქმეს ახლო კავშირი აქვს ზოლოტოვის ქალის სიკვდილთან, ამიტომ გამოძიება ჯერ არ დამთავრებულა.

გამოძიების დროს, როგორც მთავრობის განცხადებაშია ნათქვამი, გამორკვეულა ისიც, თუ როგორ გავრცელდა ცრუ ხმები ზოლოტოვის შესახებ. უპირველეს ყოვლისა, თვით ზოლოტოვისა სიცოცხლის დროს, როცა დაპატიმრებული იყო, ავრცელებდა ცრუ ხმებს, თავისი თავი მსხვერპლათ გამოყავდა და ამბობდა, უდანაშაულოს მაწვალებენ და მტანჯავენო. შემდეგ ცრუ ხმებს ყველაზე მეტათ ავრცელებდა მოქალაქე ივანე ორეხოვი, რომელიც ამბობდა თურმე, ვნახე ზოლოტოვისა სიკვდილის წინა დღეს, 5 მაისს, ძალმომრეობისაგან მისუსტებულიო და სხვ. ეს ცრუ ხმები ბოლოს გაზეთებშიაც გადავიდა და მთელ რუსეთს მოედვა.

მთელი ეს საქმე ზოლოტოვის ქალის შესახებ იუსტიციის მინისტრმა უმაღლესევრდომილესის მოხსენებითურთ ხელმწიფე იმპერატორს წარუდგინა. სრული ანგარიში ამ საქმის გამოძიების შესახებ დაიბეჭდება „იუსტიციის სამინისტროს ჟურნალ“-ში.

დ ე პ ე შ ა

10 ივლისიდან რუსეთის საგენტო გვატყობინებს ცნობებს, რომელნიც შინაგან საქმეთა სამინისტროში არიან შემოწმებული. 1 ივლისს ბიბიეიბათში გაიფიცენ მუშები მანთაშოვის და ბაქოს საზოგადოების ქარხნებში, მალე გაფიცვა გავრცელდა სხვა ქარხნებშიც შავი და თეთრი ქალაქისა. 4 ივლისს დაიწყო გაფიცვა რკინის გზის მუშებმა, რის გამო საქონლის მატარებლების მიმოსვლა შეჩერებულია. ახლა ბაქოსა და ბალახანაში არ მუშაობს არც ერთი ქარხანა, ტრამვაი, სტამბები, კერძო საზოგადოებები და სახელოსნოები. რამდენიმეჯერ მოხდა ქუჩებში არეულობა. საჭირო შეიქნა ჯარის ჩარევა, რომელიც საკმაოთ არის ახლა ბაქოში.

სხვა-და-სხვა ამბები

ბაქოში მოვიდა გრენადერთა სამეგრელოს მე-16-ტე პოლკი.

10 ივლისს ბაქოში ცხენის რკინის გზის მოძრაობა დაიწყო. ვაგონებს დაუყენებიან ორ-ორი შეიარაღებული სალდათი. ბევრი კონდუქტორები სამუშაოთ არ გამოსულან. მათი ადგილი დაიჭირეს ქუჩრებმა, ქუჩრების ადგილზე აიყვანეს, ვინც კი მოხვდათ ხელში, კონტროლიორობას ასრულებენ კონტორჩიკები.

10 ივლისს, საქონლის სადგურზე ბაქოში დაიწყეს საქონლის გადატან-გადმოტანა. სადგურზე აუარებელი ვაგონებია თავმოყრილი საქონლით სავსე. ამავე დღიდან ნელ-ნელა დაიწყეს საქონლის მატარებლის მოძრაობის აღდგენა ბაქო-აჯი-ქაბულს შუა, რომელიც რამდენიმე დღეა შეწყვეტილი იყო.

მცირე ხნით შეწყვეტილი განათება ბაქოსი 8 ივლისს ხელახლა აღდგენილ იქნა.

„ბაკინ. იზვესტ.“ რედაქცია სწერს, რომ 8, 9 და 10 ივლისს, მათი გაზეთი ვერ გამოვიდა. ასევე სწერს „ბაქოს“ რედაქციაც.

——

კავკასიის რკინის გზებზე განუზრახავთ მატარებლების მოძრაობა ამერიკული სისტემით დაიწყონ. ეს სისტემა იმაში მდგომარეობს, რომ მატარებლები გზაში ლოკომოტივს არ იცვლის დეპოებში, ამასთანავე თითო მატარებელს მიყვება ორ ორი რიგი მოსამსახურეთა. როცა ერთი რიგი მუშაობს, მეორე დასვენებულია განსაკუთრებულ ვაგონში. შემდეგ მეორე შეცვლის პირველს.

---

7 ივლისს, დილის 11 საათზე, ტფილისში შემდეგი უბედურება მოხდა: პოლიციის მე-7 და მე-8 ნაწილების საზღვარზე, გონჩარნისა და ეკატერინის ქუჩების კუთხეში, ცაპინი აშენებს სახლს. საძირკველისათვის მიწის ჩამოჭრა დასჭირვებია და დაუყენებია მუშები. სამი დღის წინათ მუშაობის დროს კინალამ ორი მუშა მოუტანია ქვეშ გადმონგრეულ მიწას. ამის მიუხედავათ მაინც წინანდებურათ შესდგომიან მუშაობას. დაუყენებიათ 8 მუშა და უთქვამთ გორისთვის ძირი გამოეთხარათ, რომ გორა თითონ გადმონგრეულიყო და ამნაირათ შრომა ნაკლები დამჯდარიყო. სწორეთ ასეც მოხდარა: 11 საათზე უშველებელი ზვავი გადმონგრეულა და ქვეშ მოუტანია შვიდი მუშა, მერვეს კი მოუსწრია გაქცევა. საჩქაროთ მიუწვევიათ ცეცხლის მქრობი რაზმი, რომელსაც გაუთხრია გადმონგრეული ზვავი და ამოუღია ხუთი მუშა უკვე მკვდარი და ორიც ცოცხალ-მკვდარი. ყველანი საშინლათ დასახიჩრებული არიან. ამგვარათ შვიდი კაცი დაიღუპა მხოლოდ იმიტომ, რომ ვიღაც მდიდარ ცაპინის ჯიბიდან ორიოდე გროშით ნაკლები ამოსულიყო.

კვირას, 9 ივლისს, სოფელ ავჭალაში ადგილობრივ სამრევლო სკოლასთან გაიმართა საკვირაო სკოლა დიდებისათვის. სკოლაში სწავლის სურვილი განაცხადეს 25 კაცამდე.

ამიერ კავკასიის რკინის გზის გამგეობა აცხადებს, რომ 4 ივლისიდან პასუხს არ ვაგვ მისაღებ საქონლის დაგვიანებისათვის, რადგან აჯიკაბულ-ბაქოსა და ბაქო-სურახანის სადგურებ შორის მატარებელთა მიმოსვლა დროებით შეჩერებულიაო. ამიერ-კავკასიის გზა არც რუსეთიდან გამოგზავნილ საქონელს იღებს კავკავის გზისაგან.

არამიანცმა შემოსწირა თფილისს ფული საავათმყოფოს დასაარსებლათ. ქალაქი ამ საავათმყოფოს ნავთლუხში აარსებს, როგორც ამბობენ, სადაც ქალაქს საკუთარი მიწა აქვს, მარა ნეტავი ვიცოდეთ, ვინ უნდა ისარგებლოს ამ სიშორეზე საავათმყოფოთი? ვისთვის აშენებენ ჩვენი „მამები“ საავათმყოფოს?

რკინის გზაზე არსდება ტელეგრაფის ნაწილის მოსამსახურეთა ურთიერთ დამხმარებელი საზოგადოება. პროექტი ამ საზოგადოებისა გადაეცა განსახილველათ კავკასიის უმაღლეს მთავრობას.

საქციონერო საზოგადოება ტფილისის ფუნიკულერის გასამართავათ უკვე შესდგა. 8 ივლისს კიდეც აირჩიეს გამგეობის წევრები: ს. ი. გაიდემანი, ს. ა. მუხარინსკი, პ. გამელრატი და მ. ლ. რიდზიუნსკი.

როგორც ტფილისის გუბერნატორის წლიურ ანგარიშიდან სჩანს, მკურნალობის საქმე ძალიან მოუწყობელი ყოფილა ტფილისის გუბერნიაში. უექიმობით ხალხი გაჭირვებულ მდგომარეობაშია არა მარტო ტფილისის გუბერნიაში, არამედ მთელ კავკასიაში. თითო მაზრას თითო საავათმყოფო და ფიოთო ექიმი ძლივს ხვდება. კავკასიის უმაღლესმა მთავრობამ განიზრახა სამკურნალო საქმე მოაწყოს კავკასიაში და წარადგინა კიდეც პეტერბურგში შესაფერი პროექტი. ამ პროექტის განხორციელებას იმას გარდა, რაც დღეს იხარჯება, დასჭირდება კიდევ 620.000 მან.; სულ კი საჭიროა 800.000 მან. წელიწადში. მთელი ხარჯი საერობო გადასახადიდან უნდა იქნეს გასტუმრებული, რისთვისაც ახალი გადასახადი უნდა გაეწეროს მცხოვრებთ. რადგან ახალი გადასახადი 620.000 მან. მძიმე ტვირთათ დააწვება მცხოვრებთ, ტფილისის გუბერნატორი შინაგან საქმეთა მინისტრთან წარდგენილ მოხსენებაში შუამდგომლობს, რომ სოფლის კერძო სამკურნალოების ხარჯში მცხოვრებლებთან ერთათ ხაზინამაც მიიღოს მონაწილეობა. თითო სამკურნალოსთვის გუბერნატორის აზრით ხაზინამ უნდა გადასდოს წელიწადში 1,500 მან.

ხვალ, 14 ივლისს, ავლაბრის (ნ. ნ. მურაშკოს) სახალხო თეატრში გაიმართება ქართული წარმოდგენა; წარმოადგენენ კ. მესხის მიერ გადმოკ. 4 მოქ. კომედიას „მელანოს ოინებს“. ეს მეორე წარმოდგენაა, რომლის შემოსავლიდან, ხარჯს გარდა, გადარჩენილი ფული გადაიდება მომავალ ავლაბრის სამკითხველოს სასარგებლოთ. როგორც შევიტყეთ, ამგვარი წარმოდგენები ამ გვარისავე აზრით, გაიმართება ყოველ ორშაბათობით. ვუსურვებთ კეთილ წარმატებას ამ საქმის დამწყებთ.

სახელმწიფო საბჭოს დადგენილების თანახმათ ქალაქებს დუშეთს და ახალქალაქს ეპატიათ ხუთის წლის განმავლობაში იმ ფულის გადახდა, რომელიც ხაზინაში შეექონდათ ადგილობრივ პოლიციის შესანახ ხარჯათ. ზოგიერთ სხვა ქალაქებს დაუკლეს გადასახადი: ახალციხემ უნდა შეიტანოს 1000 მან. გორმა—800 მან. თელავმა—200 მან. და სიღნაღმა—200 მან. ამას გარდა ქალაქ დუშეთს ეპატია ამ გადასახადის დარჩენილი ფულიც.

წელს ქუთაითურ სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობაა „კოლხიდა“-ს გამგეობას შეუძენია სულ 1500 ფუთი ნედლი პარკი; ფუთი პარკი საშუალო რიცხვით დაჯდა თურმე 17 მან. 50 კაპ. შარშან კი შეიძინა სულ 1300 ფუთი, თითო ფუთი საშუალო რიცხვით 14 მან. 60 კაპ. ამ რიგათ წელს შარშანდელზე მეტი პარკი შეუძენია, თუმცა თითო ფუთი უფრო ძვირათ დაჯდომია.

ქალაქის გამგეობას და ჭიათურის შავი-ქვის მრეწველთა საბჭოს მოლაპარაკება აქვთ ქუთაისში საქიმიო ლაბორატორიის დაარსების შესახებ. საჭირო ფული და ნებართვა უკვე ხელთა აქვთ, საჭიროა მხოლოდ შენობის შეძენა ლაბორატორიისათვის. ამის შესახებ სხვადასხვა აზრი გამოითქვა. ყველაზე უკეთესი ის იქნება, რომ ლაბორატორიისთვის დროებით იქირავებდენ შენობას და ამით დააჩქარებდენ მის გახსნას. მაგრამ ამავე დროს უნდა შეუდგენ ახალ შენობის აგებასაც.

თფილისში არსდება დედათა მე-4 გიმნაზია, რომლისთვისაც შენობა უკვე დაქირავეს ვერაზე თაიროვის სახლში. პირველ ხანს ეს გიმნაზია ოთხ-კლასიანი იქნება და შემდეგ ყოველ წელს თითო კლასი მიემატება, ვიდრე სრულ გიმნაზიათ არ გადაიქცევა.

წელს, როგორც «ᲞᲠᲐᲕ. ᲕᲔᲡᲢ.»-შია გამოცხადებული, ჯარის კაცათ გაწვეულ იქნება ქუთაისის გუბერნიიდან—3074 კაცი, ტფილისისა ზაქათალის ოლქითურთ—2381 კაცი, შავის-ზღვის გუბერნიიდან—114 კაცი, თერგის ოლქიდან—553 კაცი. ამათში 100 კაცი ოსი უნდა იყოს.

დღეს 13 ივლისს ხონში გადახდილ იქმნება პანაშვიდი ნიჭიერ მწერლის ილია ხონელის სულის მოსახსენებლათ.

ქუთაისის გუბერნატორი თავის საᲔᲡᲐᲮᲣᲠᲘᲡ საქმეების გამო ოზურგეთის მაზრაში გაემგზავრა.

---

11 ივლისიდან, მეყასბეების წყალობით ქალაქი უხორცოთ არის დარჩენილი. ხორცი არც ქალაქის დუქნებში მოიპოვება.

ამ დღეებში ტფილისის კალატოზების შეგირდებმა გამოუცხადეს სახელოსნო გამგეობას, პატრონები მეტათ გვავიწროებენ, არც საᲭᲛᲔᲚᲡ და არც ტანისამოსს არ გვაძლევენ, თუმცა პირობის ძალით, ვალდებულნი არიანო, ერთიც და მეორეც რიგზე გვაძლიონო. შეგირდებმა სთხოვეს ხელოსანთა მოურავს, დაᲬᲔᲡᲝᲡ, რომ შეგირდებს ყოველ დღე ეძლეოდეს ფული საᲭᲛᲚᲘსა და ტინისამოსისათვის.

ᲞᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲪᲘᲔᲑᲘ

ᲐᲠᲢᲐᲜᲣᲯᲘ (ᲐᲠᲗᲕᲘᲜᲘᲡ ᲝᲚᲥᲘ). ᲐᲛ დაბაში მცხოვრებლების უმეტეს ნაწილს შეადგენს სომხები და გარეშო სოფლებში კი გამᲬᲛᲐᲓᲘᲜᲔᲑᲣᲚᲘ ქართველები. აქ მოუავთ ᲮᲣᲠᲘ, სიმინდი და აგრეთვე თუთუნიც; რომელიც გვარიანთ მოდის, მაგრამ თუთუნის მოᲬᲔᲒᲕᲘᲡ გაᲗᲕᲐᲠᲗᲝᲔᲑᲐᲖᲔ არ ფიქრობენ, თუმცა მიწის ნაᲧᲝᲤᲘᲔᲠᲔᲑᲐ მას ხელს უწყობს. მიწა აქ ძალიან ნაᲧᲝᲤᲘᲔᲠია და მოსავალიც შესაᲤᲔᲠᲘᲡᲘ კარგი იცის; შეხვდებით აგრეთვე ბოდებსაც, რომლებსაც თუმცა მოგდა სულ არ აქვს, მაგრამ მაინც თავის სიმშვენიერით ᲯᲔ ნაᲧᲝᲤᲘᲔᲠᲔᲑᲘთ გაკვირვებაში მოუავს ყველა. აქედან გაᲐᲥᲕᲗ სხვადასხვა ხილი ართვინისა ᲯᲔ სხვა ქალაქებში. მათ უმთავრეს სარჩოს შეადგენს საქონლის ᲧᲝᲚᲐ. რადგანაც არტანუჯის ახლო-მახლო მთებში იალაღები კარგი არის, ამიტომ საქონლის საძოვებლათ აქ მოდიან კიდევ ქურთები, რომლებიც მთელ ზამთარს შავი ზღვის ახლო მხარეში ატარებენ და დადგება თუ არა აᲠᲘᲚᲘ თავისი საქონლებით მთებისაკენ გაეუურებიან. ᲧᲝᲕᲔᲚ წლობით აქ იკრიბებიან საქონლის საძოვებლათ მწყემსები. რადგანაც აᲠᲘᲚᲘᲨᲘ მთებში კიდევ თოვლი სძევს და სიცივეა, ამიტომ ბევრი მათგანი ავათ ხდება სიცივისაგან; აგრეთვე საქონლებსაც ᲮᲨᲘრად ᲭᲘრი უᲩᲜᲓᲔᲑᲐ მუსრს ავლებს. არტანუჯი, როგორც ართვინი, გაᲭᲘრვებულია უგზოობით. ერთი გზა, რომელიც ბათუმიდან გამოდის გაᲘᲕᲚᲘᲡ ართვინსა, არტანუჯსა და არდაგანამდის მიდის; შვიდი წელიწადი იქნება, რაც ამ გზის კეთება დაუწყიათ, მაგრამ ᲯᲔᲠ არაფერი გაკეთებულა. არ იქნებოდა ურიგო, რომ ამ გზის უფრო უფრო შეᲝᲬᲣᲮᲔᲑᲓᲔᲡ თავს და დრეზე ადირსებდეს მცხოვრებლების გზას. ამასთან უნდა გთქვათ, რომ ᲭᲑ-ᲜᲘ გზის უფრო ᲯᲔᲠ ერთი, ადგილობრივ მცხოვრებლებს არ ასარგებლებს გზის მუშაობით და მეორეც, რომლებსაც ამუშაᲒᲔᲑᲡ, თავის დროზე არ ᲫᲚᲔᲕᲡ ნამუშევარის ᲭᲘრას და ამით საᲥᲛᲔᲡ აგრძელებს და ამიტომაც მათ შორის უკმაᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐ არის ᲩᲐᲛᲝᲐᲠᲓᲜᲘᲚი.

წელს ერთ მოგზაურობის დროს მას დახვდენ შეიარაღებულნი რამოდენიმე კაცი, რომლებსაც მისი მოკᲚᲚᲘᲡ განზრახვა ქონდათ, მაგრამ თვითონ რაᲒᲝᲠᲓᲐც გადარჩა ცხენი კი მოუკლეს. რაᲒᲝᲠᲪ მცხოვრებლების სიტყვიდან სᲩᲜᲡ, ისინი გადაᲯᲐᲠᲜᲘᲚᲘ ავაზაკები არ ᲧᲝᲤᲘᲚᲐᲜ არამედ ადგილობრივი მცხოვრენი. რათ შეᲑᲐ ეგრე Ბ-ᲜᲘ გზის უფრო სი, რადგანაც მას შეუძლია ᲧᲕᲔᲚᲐ მაᲓᲘᲔᲠᲘᲪ ᲣᲕᲓᲔᲡ და გზაც მაᲓᲔ გაᲐᲙᲔᲗᲝᲡ? მაგრამ დმერთმა უწყის, რას ფიქრობს.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

თუ უგზოობა ხელს უშლის მისᲕᲚᲐ მოსᲐᲯᲠᲔᲚᲘ ᲐᲓᲒᲘᲚᲘᲐ, გაუნათდებოდა უფრო ხელს უშლის წინსვლას და სწორ გზაზე სიარულს. მთელ არტანუჯის ნაწილში გარდა არტანუჯისა არ მოიᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐ სასწავლებელი; არტანუჯში კი თუმცა არსებობს, მაგრამ მᲬᲛᲐᲓᲘᲐᲜᲜᲘ არ სარგებლობენ. ისინი ცოდვილს უძახიან მათ, ვინც ამ სკოლაში სწავლობს. რასაკვირველია, ბიბლიოთეკაზე და ან წიგნთ საცავ-სამკითხველოზე ვინ რას იტყვის. არტანუჯში არის ძველი შესანიშნავი ნანგრევები; სამხრეთითთ არტანუჯს უძევს ერთი ოთხკუთხი გორა რომელსაც ᲧᲝᲕᲔᲚ მხრიდან მიუვალი კედლები აქვს. და აი ამ გორაზე არის ნანგრევი ძველი უზარ-მაზარის ციხისა, რომელსაც ᲯᲔᲠ კიდევ შეურჩენია თავისი შიგნით მოწᲧᲝᲑᲘᲚᲔᲑᲐ. მაგ., აქ ნახავთ ძველ ქვევრებს, თონეებს ᲮᲣᲠᲘᲡᲡაცხობებს და ᲭᲣᲠᲭᲚᲔᲑს, რასაც კი აქამდი შეეძლო მოᲚᲬᲔᲕᲐ. ამ ციხეშივე არის ეკᲚᲔᲡᲘᲘᲡ ძველი ნანგრევიც.

არტანუჯის ნაწილში ს. ენერაბათში არტანუჯიდან თხუთმეტ ვერსზე არის ერთი ძველი ეკᲚᲔᲡᲘა, რომელშიაც ახლა სომხები სწირავენ. ეკᲚᲔᲡᲘა თლილი ქვითაა ნაშენი. შიგ თუმცა დარაᲑᲘ მოწᲧᲝᲑᲘᲚᲝᲑᲐ არის, მაგრამ მაინც გაᲐᲙᲒᲘრვებს მნახველს მისი ძველი მხატვრობა, რომელიც ᲯᲔᲠ კიდევ დაცულია.

ხ. ე. რ-შვილი.

ს. ᲡᲐᲠᲘᲧᲐᲛᲘᲨᲘ (ᲣᲠᲗᲘᲡ ᲝᲚᲥᲘ). ახლა აქ ᲧᲕᲔᲚᲐ სორტის და ᲑᲠᲝᲗᲕᲔᲡᲘᲘᲡ ხალხს შეხვდებით. გვᲬᲕᲘᲐ ახალგაზრდა მოწაᲕᲔ ქალ-ვაᲟᲔᲑი და ᲩᲕᲔᲣᲚᲔᲑᲠᲘᲕ შეუდგენ განუწᲧᲕᲔᲢᲔᲚᲔᲡ შრომა-ᲯᲐᲮᲕᲘს. აი რაში გამოიხატება მათი შრომა: სადამოს 6 ს. მოკიდებული ვიდრე 12 საათამდე და შემდეგ კვᲚᲔᲠᲝᲑა-ᲐᲠᲨᲘᲧᲝᲑᲐს ანდომებენ ძვირფას დროს ᲯᲕᲐᲚᲡ-მაზურკა-კრაკვიატოთ გატაცებულნი დადᲒᲐს ᲕᲔᲚᲐᲠ გრძობენ; ამ ნაირ დროს ტარებას ის არა ᲯᲝᲑია, კითხვები გამართონ, წიგნები იკითხონ ან სამკითხველოში შეკიდენ და გაზეთს გადახედონ? განა ᲣᲕᲐᲕᲘᲚᲔᲑის კრეფა და ბარაᲨᲜᲘსთვინ მირთმევა (რომ მარცხენა მხარეს გულზე დაიბნიონ) მათ დანიᲨᲜᲣᲚᲔᲑას წარმოადგენს ცხოᲠᲔᲑაში? მაგრამ ვითომ გაიზრდებიან სხვა იქნებიან? ᲕᲜᲐᲮᲝᲗ. ახლა კი მუსიკამთუ დაᲣᲙᲠᲐ ერთ-ერთი საᲪᲔᲙᲕᲐᲝᲮᲛა, სულ ერთია გინდ სახლში იᲯᲔᲜ, გინდ კარში, გინდ ᲢᲔᲥᲕᲔᲠᲨᲘ, მაშინვე გაიმართება ტანცი-მანციობა. აი ასეთია სარიᲧᲐᲛᲘᲨᲘᲔᲓ ქალ-ᲕᲐᲟᲗᲐ ცხოᲠᲔᲑა. რადა გვეთქმის, გარდა ამᲮᲐᲠᲘსა: „O tempora, o mores!“

ერთმა მოᲒᲖᲔᲜᲐᲛ შიშის ზარი დასცა აქაურებს. სარიᲧᲐᲛᲘᲨᲘᲓᲐᲜ 7 ᲕᲔᲠᲡის სიშᲠᲔᲖᲔ არის ს. სადიმი. იქ გაᲩᲓᲐ ცხენის სენი (сапъ), რომელმაც მუსრი გაᲐᲕᲔᲚᲝ ცხენებს და ბევრის ოᲯᲐᲮი დაᲐᲓᲠᲝᲡ. მაგრამ ცხენის სიკᲕᲓᲘᲚი რაა, რომ ადამიანს არ ამსᲮᲕᲔᲠᲔᲓᲔᲑᲓᲔᲑ. ეს სენი კაᲪᲔᲢᲔ გადადის. ამ ნაირთ გამოᲩᲜᲓᲔᲑა ცხენს: ტანის სხეული კანკალს დაᲣᲬᲔᲑს, ᲮᲘრიდან და ცხვირის ნესტოებიდან დიᲠᲑᲓᲘ გადმოსდის, ტანი თანდათან უᲫᲚᲔᲑა, ცხენი კანᲣᲬᲜᲒᲔᲢᲓᲔᲒ ᲤᲠᲣᲢᲣᲜᲔᲑს და თუ ამ დროს დიᲠᲑᲓᲘს წᲕᲔᲗᲘ მოᲮᲕᲓᲐ ადამიანის ტუᲩᲔᲑის შიგნითა ᲭᲠᲑᲘᲚ ხᲠᲔᲑს ან თვალის ქუთუთოში ჩაუვარდა, მაშინვე გადაᲥᲔᲓᲔᲑა, მოᲠᲩᲔᲜᲐ შეუძლებელია და წუთი სოფელს გამოასᲡᲓᲛᲔᲑს. ამის გამო სასტიკი დონისძიებაა მიᲓᲔᲑᲣᲚᲘ მარა შიში მაინც დიდია.

სარიᲧᲐᲛᲘᲨᲘᲓᲐᲜ 30 ᲕᲔᲠᲡᲖᲔ ს. კარაᲣᲠᲒᲐᲜია ᲯᲔ იმის მახᲚᲝᲑᲐᲗ ᲑᲠᲬᲧᲕᲘᲐᲓᲐ მადანი გამოᲩᲜᲓᲐ კᲚᲓᲔᲨᲘ, ამᲑᲝᲑᲔᲜ ოქᲠᲝᲡ ნიშანია, მაგრამ სანამ სპეციალისტები არ შეამოწმებენ, მანამ ᲕᲔᲠᲐᲡ ვიტᲧᲕᲘთ დანამᲓᲕᲘᲚᲔᲑითᲘ.

დ. ქ.

ს. ᲨᲣᲮᲣᲗᲘ, (ᲒᲣᲠია). ს. შუხუთი შეიცავს ოთხასამᲓᲔ კომᲚᲡ ᲒᲚᲔᲮ-კაᲪᲝᲑᲡ და ათამᲓᲔ ᲐᲮᲜᲣᲠᲘᲨᲕᲘᲚᲔᲑს, რომელთაც ᲩᲕᲔᲜ-

თან კარგი ძმობა და ერთობა უჭირავთ. აქაურები მარტო მიწის მოშენებას და ბაღჩისობას მისდევენ; ხიდი იმდენი მოუვთ, რომ შეუძლიათ ერთი მოზდილი ქალაქის ხიდით დაკმაყოფილება.

სიმინდი იმდენი მოუვთ, რომ ეოველი გლეხი კაცი გაჭირვების დროს ექვსი თუმნის სიმინდს მაინც დაირჩენს გასაუდათ. აქ აბრეშუმის მოყვანასაც მისდევენ; მაგრამ როგორ უნდა მოიყვანონ და აკეთონ, როცა აბრეშუმისთვის სახლი კიარა, თავისთვისაც ძლივს და აუშენებიათ! კარგი იქნება, რომ რამდენიმე გლეხი საერთოთ აიშენებდეს საუკეთო სახლს და ეაჭს ისე მოუგლიდეს, რადგანაც შეუძლებელია ადამიანის და ეაჭის ერთს და იმავე სახლში ცხოვრება.

აქამომდე აქ არავითარი სკოლა არ არსებობდა და აქაური მოსწავლეები ორი, სამი ვერსის მანძილზე სხვაგან დაიარებოდენ სასწავლებლათ. ახლა როცა ორკლასიანი სამრევლო სკოლა დაგვიარსეს, ეველანი, დიდი თუ პატარა, ისეთ ადტაცებაში მოვიდენ, რომ აქაური მღვდლის მეტი არავინ არ ადმოჩნდა ისეთი, რომ სტოლნოდა, რა დაწესებულობის და ხარისხის სკოლა უარსებოდათ; მხოლოდ იმას კაიძახოდენ, ორკლასიანი გვიარსებია და ჩვენ შვილებს დ. ლანჩხუთში სიარული არ დასჭირდებაო. მარტო მაშინ გაიგეს სარისხიც და შინაარსიც, როცა მოსწავლეებმა სწავლის დაწყებისთანავე ეკლესიაში რუსული კალობა და დავითნის კითხვა დაიწყეს.

მაინც კარგი იქნება, რომ აქაური სკოლის მოთავენი გამოჯრგვევოდენ ძალიან და ორსართულიან სკოლის კაკეოებამდე მეორე სასწავლებელს მიუმატებდენ, რომ ბავშვები ტეეიდა არ გაცდენ, რადგან შეუძლებელია იმდენ (სამი განყოფილების) ქალ-ვაჟს ერთმა ოთხ-კლასიანმა ასწავლოს.

კოწია.

რუსეთის სხოვრება

„Გრაფიტ. ვესტ.“-ში გამოქვეყნებულია ბრძანება ქარხნებში სტაროსტების დაწესების შესახებ. ქარხნისა და მთა-მადნის მუშებმა თვითეული დარგისამ ცალ ცალკე უნდა აარჩიონ თავიანთ შორის კანდიდატები სტაროსტის თანამდებობაზე. ამ კანდიდატებს ამტკიცებს ქარხნის გამგეობა- კანდიდატებათ არ უნდა აირჩიონ 25 წლისაზე ახალგაზდეკი. იმ ნაწილში სადაც ამაზე უმცროსნი მსახურობენ, მუშებს შეუძლიანთ სტაროსტებათ სხვა ნაწილში მომუშავე აირჩიონ. სტაროსტა ქარხნის გამგეობის წინაშე მუშების რწმუნებულათ ითვლება. სტაროსტებმა უნდა აცნობონ ქარხნის გამგეობას და ინსპექტიას მუშების ეოველი საჭიროებანი და მათი ეოფა-მდგომარეობა. ამავე სტაროსტების პირით გადაეცემათ მუშებს სხვადასხვა განკარგულებანი. საქმეების გასახილველათ სტაროსტებს უფლება ეძლევთ შეკრიბონ ხოლმე მუშები. წესიერებას თვალ-ყური სტაროსტამ უნდა ადევნოს. თუ საქმე ეველა დარგის მუშებს ეხება, უნდა შეკრიბონ მოსალაპარაკებლათ ამ დარგის სტაროსტები. ქარხნის გამგეობამ უნდა შეადგინოს წესები სტაროსტების შესახებ. ამ წესებში აღნიშნული იქნება რაოდენობა მუშათა ჯგუფებისა ქარხნებში, რიგი სტაროსტის არჩევისა, ხმის მიკრების წესი, წლოვანობა კანდიდატებისა, სამუშაო დროს რაოდენობა და სხვა. ეს წესები გუბერნატორმა უნდა დამტკიცოს და შემდეგ კაიკრას ეველა ქარხნებში. გუბერნატორს შეუძლია სტაროსტა ვადამდე გადაეუენოს.

სამაზრო საბოლოო დარაჯს შიდა რუსეთის თითქმის ეველა გუბერნიებში შემოიღებენ. ამა წლის 5 მაისის კანონით ასეთი დარაჯები უნდა შამოდებულ იქნეს 46 გუბერნიაში. დარაჯი ცხენოსანი და ქვეითი იქნება. დარაჯთა რიცხვი დამოკიდებულია მცხოვრებთა რიცხვის რაოდენობაზე: 2,500 სულზე თითო დარაჯი უნდა იყოს. 1903—1904 წელს დარაჯს შემოიღებენ შემდეგ გუბერნიებში: ვიდნოსა, ეორონეჟისა, ვიატკისა, ეკატერინოსლავისა, კიევისა, კურსკისა, ნიჟეგოროდისა, ორლოვისა, პენზისა, პოლტავისა, სარატოვისა, ტამბოვისა, ხარკოვისა, ხერსონისა და ჩერნიგოვისა. დანარჩენ გუბერნიებში დარაჯს თანდათან—ანუ ოთხ-ოდ 1905—1908 წლამდის. ამ რიგათ დარაჯის შემოღებით ჩნდება კარგა მრავალრიცხოვანი ბოლიცია. საბოლოო ჯარის შესანახათ ეოველ წელიწადს ხაზინამ უნდა გადაიხადოს 10,317,710 მანათი.

ᲛᲘᲜᲓᲘᲐᲜᲓᲘᲐᲨᲘ დღემდე ხშირათ იმართებოდა სამღვდელოების წარმომადგენელთა კრებები. ნებართვას არავისგან იღებდენ. ხელმწიფე იმპერატორმა 26 ივნისს ბრძანა, რომ ასეთ კრებებისათვის ნებართვა გენერალ-გუბერნატორისაგან აიღონ ხოლმე.

ᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲔ იმპერატორის ბრძანებით 26 ივნისს დაითხოვეს ქ. ვიბორგის ბურგომისტის თანამდებობიდან ერნსტ-ოტტო ოკერსონი, ხოლო სამეურნეო დეპარტამენტს ფინლანდიის სენატისას წინადადება ეძლევა განკარგულება მოახდინოს ვიბორგის მაგისტრატის იმ წევრთა დათხოვნის შესახებ, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს 1901 წ. გამოცემულ სამხედრო კანონის წინააღმდეგ დადგენილებაში. ახალ წევრებს მაგისტრატისა უნდა გადაეცეს ეოველი საქმის წარმოება არა უგვიანეს 1 სექტემბრისა. ფინლიანდიის სენატს წინადადება ეძლევა მოახსენება წარუდგინოს, სადაც ჯერ არს, რომ ვიბორგის მაგისტრატების არჩევნის წესი შეიცვალოს. ასეთი ზომები გამოწვეულია შემდეგ გარემოებით, როგორც ფინლიანდიის კაზეთი მოგვითხრობს: ვიბორგის დანდსეკრეტარი გაგზავნილი იყო რუსეთის შიდა გუბერნიებში რუსული ენის შესასწავლათ და მის თანამდებობას მის მაგიერ დროებით ასრულებდა ფინლიანდიის გენერალ-გუბერნატორის განსაკუთრებულ დავალებათა ჩინოვნიკი ვიდატ ფუკსი, რომელიც ფინლიანდიელი არ იყო. ასეთი პირის დანიშნა ეთანხმება 18 ივლისს 1982 წ. განკარგულებას. ფუკსმა დანდსეკრეტრის მაგიერ დაამტკიცა რამდენიმე ქალაქები, ვიბორგის გუბერნატორის მიერ ხელმოწერილი და ვიბორგის მაგისტრატში გაგზავნა. ეს ქალაქები ეხებოდენ 1901 წ. 29 მაისს გამოსულ ბრძანების ადსრულებას, მარა ვიბორგის მაგისტრატმა ოკერსონის თავმჯდომარეობით ქალაქები უკანონოთ იცნო და უარი განაცხადეს მის ადსრულებაზე, რადგან ასეთ განკარგულებაზე ფუკსს, სხვა ერის პირს, უწერია ხელი, რაც ეწინააღმდეგება ფინლიანდიის კონსტიტუციის § 10 1773 წ. ეველა ქალაქები უკანვე დაუბრუნეს გუბერნატორს აუსრულებლათ.

ამ შემთხვევაში მაგისტრატი ხელმძღვანელობდა ფარულ რევოლიუციონერთა კომიტეტის მოწოდებით და ფარულ კრების გადაწყვეტილებით, ეს კრება იყო 30 ოქტომბერს 1902 წ. გელსინგფორში და იქ გადაწყვიტეს არ დამორჩილებოდენ მეფის ბრძანებას. ამ ნაირათ ვიბორგის თვით-მართველობამ კანონიერათ არ იცნო ხელმწიფის განკარგულება 1902 წლისა 18 ივლისის და უარი განაცხადა გუბერნატორის კანონიერ მოთხოვნილებაზე. ამიტომ ისინი გადაუენებულ იქნენ თანამდებობიდან, როგორც ზემოთ მოვიხსენიეთ.

ᲙᲘᲔᲕᲘᲡ გუბერნიის ბოლიციის უფროსთ მიუდიათ ბრძანება ებრაელთა ბინადრობის საზღვარ კარეშე დამკვიდრებულ ებრაელთა გადასახლების შესახებ. ბოლიციელთ სასტიკათ ებრძანათ ძალით გადასახლონ ხოლმე ის ებრაელნი, რომელნიც თავის ნებით არ წავლენ. ეს ბრძანება შემდეგს შემთხვევას გამოუწვევია. სამხრეთ-დასავლეთ მხარეში ერთი უკანონოთ დასახლებული ებრაელი უნდა განედევნათ. ებრაელი არ დაემორჩილა ბოლიციას და ამ უკანასკნელმა მომრიგებელ მოსამართლეს გადასცა ეს საქმე განსახილველათ. მომრიგებელ-მოსამართლის დადგენილებით ებრაელს მიეცა უფლება ძველ ბინაზე დაჩენისა. მთავრობამ განუმარტა ბოლიციას, რომ ამიერიდან ადმინისტრატიულის წესით უნდა კანაძევონ ხოლმე უკანონოთ დასახლებული ებრაელნი მომრიგებელ მოსამართლეთა დაუკითხავათ, რადგან ებრაელთა კანონიერი თუ უკანონო ბინადრობის

შესახებ საკითხი ადმინისტრაციამ უნდა გადასწყვიტოს მისდა მიჩნეულად უფლებით.

საზღვარ-გარეთ

საფრანგეთი: საზოგადოებამ თანდათან შეიგნო, რომ ბლეხებსა და მუშებს იაფი და სადი სადგომი სჭირიათ; შეიგნო ისიც, რომ ამ საქმეს დიდი მნიშვნელობა აქვს. ახლა საფრანგეთში კერძო პირები უფლდგან მუშების სადგომების სინჯვას შეუდგენ და ეფლას გააგებინეს, რომ ლერმონ-ფერანში, მაგალითად იქაურ სახლების ორი მესამედი, სადაც მუშები დგანან, საძაგლათ და ბინძურათ ინახება; პარიზში 332 ათასი სული მეტათ მჭიდროთ დგას. აქედან 44 ათას სახლობას თითო ოთახი უჭირავთ. ეოვლედ სახლში კი თურმე 3—16 სულია. ქალ. ლიონსა და კომპიენში ადგილობრივმა შემნახველმა კასებმა დიდი დახმარება გაუწიეს მუშებს და ბევრი იაფი სადგომი აუგეს. ამ ქალაქების მაბაძეს სხვა ქალაქებმაც და ეფლგან საგანგებო კომიტეტები და საზოგადოება არსდება იაფ სადგომების ასაშენებლათ. პარიზში ტიურო ცდილობს დაარწმუნოს ქალაქის საბჭო, რომ ამ მძიმე საკითხის გადაწყვეტა ქმეს თავი დაუდოს; ისეთ ძველ, დიდ ქალაქს, რომელიც პარიზია, არ ეკადრება, რომ იმის მოქალაქეები ბინძურათ ცხოვრობდენო, ამას გარდა აქვე დაარსდა „ჭიგიენურ იაფ სადგომების საზოგადოება“. საზოგადოებას აზრათ აქვს მუშებისთვის ახალი იაფი კარგი სახლები ააშენოს და ამნაირ სადგომებისთვის რაციონალური სანიმუშო ბალნი შეადგინოს. ერთი სახლის აშენებას კიდეც შეუდგენ. სახლი ხუთ-სართულიანი იქნება. ზემო სართულში მარტოხელ ქალებისთვის თითო ოთახიანი სადგომი იქნება გამართული; დანარჩენ სართულებში იქნება გამართული სამ ოთახიანი სადგომები ამბავრეულოთი; ქვემო სართულებში გამართული იქნება სადგომები სახალხო უნივერსიტეტისა, კოოპერატიულ რესტორანისა და კოოპერატიულ მაღაზიებისთვის. ზემო სართულში თითო ოთახი წელიწადში 110 ფრანკათ გაიცემა ქირით, სადგომები—340 ფრანკათ. პარიეში ეს ძლიერ იაფ ქირათ ითვლება. ამას გარდა პარიეის სახალხო უნივერსიტეტის პირველმა დამაარსებელმა დეერმა ქალაქისგან იჯარით აიღო ერთი დიდი სახლი შვენიერის პარკით, რომელიც შიგ ბულონის ტყეში მდებარეობს. ამ სახლის პარკში სახალხო უნივერსიტეტის მუდმივი მსმენელები მოდიან დასასვენებლათ და გასართობათ, თვითონ სასლს კი პატარპატარა ოთახებათ დაყოფენ და მცირე ქირით ისეთ მუშებს მიცემენ, ვისაც დროებით დასვენება სჭირიათ. აქვე, პარიეში, მუშებისთვისაც ისეთსავე კოლონიების დაარსებას აპირობენ, როგორებიც ბავშვებისთვისაა დაარსებული. ამ საქმისთვის თვითონ მუშებმაც ხელის მოწერა გამართეს და ფულსა კრებენ. მუშებს თავიანთ ჯამაგირიდან ცოტ-ცოტა ფული შეაქვთ და ზაფხულში სუფთა ჰაერზე მიდიან და ორის კვირის განმავლობაში ზღვის პირას ან სადმე სხვაგან დამაზ, მაგრამ იაფ ადგილას განგებ გამართულ კოლონიებში ისვენებენ.

ჩინეთი: ჩინეთში, როგორც გაზეთები გადმოგვცემენ, გამოდის სოციალისტური გაზეთი, ლენგის გამომცემლობით, გაზეთი 30000 ეგზემპლიარი სადგება. ეს ფაქტი ამტკიცებს, რომ დიდებულ მეცნიერის მოძღვრება ჩქარა ვრცელდება ჩინელებ შორისაც. იაპონელი „ამხანაგები“ ძალიან დიდ დახმარებას უწევენ სოციალისტურ აზრების გავრცელებას კონფუციის (ჩინეთის სახელგანთქმული ფილოსოფოსია) მიმდევართა შორის. ახლა ლენგს განუზრახავს მარქსის გენიალური შრომის „კაპიტალის“ ჩინურ ენაზე გადათარგმნა და გამოცემა. თარგმნა უკვე დაუსრულებია და ამ წელშივე დაბეჭდილი იქნება.

ავსტრო-უნგრეთი- თითქმის არც ერთ სახელმწიფოში არ არის შეერთებული იმდენი სხვა-და-სხვა ერები, როგორც ავსტრო-უნგრეთში. და თუ არის მაინც (როგორც მაგ. რუსეთში) ერთი ერი რიცხვით ბევრათ მეტობს ყველა სხვა ერებს, და სასელმწიფოს ერთგვარი ელფერი აქვს—უმთავრესი ერის სახელმწიფოა. ავსტრო-უნგრეთში კი სხვადასხვა ერებმა რიცხვი და ადგილი თითქმის თანასწორია და ამიტომ აქ მუდამ გაურეველი ბრძოლაა ჭეგემონიისთვის. ნემცები, მადიარები, ჩეხები,—თვითეული ცდილობს თავის უფლებები გაუფართოოს, თუ ეფლგან არა თავის რაიონში მაინც სრული ბატონობა ხელთ იგდოს. ამიტომ ამ თითქმის თანასწორ პარტიათა შორის მუდამ გაცხარებული ბრძოლაა ავსტრიის რეიხსრატის სხდომა—უაყალმაყალოთ, ულაგიერობოთ არასოდეს არ გათავებულა. მუდამ ოპოზიციის ობსტრუქციაა, გაბმული ბრძოლა, მუდამ სამინისტროს კრიზისი. ახლაც მადიარები თხოულობენ დამოუკიდებელი მადიართა ჯარის შექმნას, რაც მათი ნაციონალური დამოუკიდებლობისთვის ფრიად დიდ ძალას წარმოადგენს. ლენგ-ლენგობით ავსტრო-უნგრეთში გერმანული ელემენტია გამეფებული და მის ბატონობას ებრძვიან სხვა ერები. მეთექვსმეტე საუკუნიდან, როცა ფერდინანდ I-მა თავის სამფლობელოს უნგრეთი და ჩეხია შემატა, ეს ბრძოლა არ შეწყვეტილა, რამდენჯერმე ამ ერთა თავისუფლებისადმი მისწრაფება იარაღით იქნა დამშეკიდებული. მარა ამან რასაკვირველია ვერ მოკლა ეს გრძნობა სხვისი ბატონობისაგან განთავისუფლებისა. აქამდის ამ ერების სურვილს სრულ დამოუკიდებლობისადმი აჩერებდა შიში ოსმალეთის წინაშე. ახლა კი, როცა ასეთი შიში უსაფუძვლო გახდა, დამორჩილებულმა ერებმა ისევ გამოიჩინეს მძლავრი მისწრაფება დამოუკიდებლობისადმი. ახლა ჩვენ მოწამე ვართ ისეთ ძლიერ ნაციონალურ მოძრაობისა რომლის მზგავსი თავის ძლიერებით ჯერ არ გვინახავს. აქამდის ამ ერებს ძალმომრეობით იმორჩილებდენ. ახლა კი ეფლამ შეიგნო რომ ძალმომრეობა—მეტათ გამოუსადეგარი იარაღია, რომ ის მხოლოთ ამწვავებს კითხვას და არა სწყვეტს მას. ახლა ბრძოლის მოედანი პარლამენტია და მომავალ შემოდგომაზე ჩვენ ვნახავთ, ვინ დარჩება გამარჯვებული. ეფრო საეჭვებელია კი, რომ გამარჯვება ჩეხების და მადიარების მხარეს დარჩება. ამას მოწმობს გაძლიერებული მოძრაობა ამ ერთა შორის. მოძრაობა პარლამენტიდან თვითონ ცხოვრებაში გადადის და ხალხი ახლენს კრებებს, მიტინგებს, რომ სურთო მდელვარება გამოიწვიოს. აი რამდენიმე მაგალითი ასეთი მოძრაობისა:

დამოუკიდებელი პარტია უნგრეთისა ბარაბაშის მეთაურობით შეიკრიბა გროსვარდეინში. ამ კრებაზე ბარაბაშმა წარუდგინა კრებას თავის მოდგაწეობის ანგარიში და განაცხადა, თუ ამოთრჩეველთ არ მოსწონთ ჩემი ქცევა, მე მზათ ვარ თავი დავანებო სამინისტროსთან ბრძოლასაო. დამოუკიდებელი პარტია მოწადინებული იყო ნდობა გამოეცხადებინა, მაგრამ ამის წინააღუდგენ ლიბერალები, რის გამო დიდი შეფოთი და არეულობა მოხდა. ამით ისარგებლა პოლიციამ და კრების დახურვა მოინდომა. ხალხი გაბრაზდა პოლიციის თავხედობით და ქვები დაუშინა. ხალხის დასამშვიდებლათ გამოწვეულ იქნა ორი ქვეითი და ერთი ესკადრონი ცხენოსანი ჯარი. ჯარი დარეა ხალხს ხიშტებით და ხმლებით. ტყვეა მხოლოდ ერთმა როტამ გაისროლა, ისიც მაშინ, როცა ხალხიდან რამდენიმე ლეგორეველები გავარდა. შეტაკების დროს დაიჭრა 14 კაცი. ამათში 4 პოლიციელი, 4 ჯარის-კაცი და 6 ხალხიდან. დაატუსაღეს 12 კაცი. მეორე დღეს სეიმში ასტეფა ამის შესახებ კამათი. ბარაბაშში პოლიციას და ჯარს ამტეუნებდა, ტეუიდ უბრალოთ სიასხლის დვრა გამოიწვიესო. პირველი მინისტრი დაპირდა საქმეს დაწვრილებით გამოკვიძებთო.

— ხორვატები შთამომავლობით სერბები არიან, მარა ამ ორ ხალხთა შორის აქამომდე სრული უთანხმოება და ანტაგონიზმი სუფევდა, ამის მიზეზათ მათ სარწმუნოებრივ განსხვავებას ასახელებენ. ხორვატებია—კათოლიკეები, სერბები—მართლ-მადიდებელნი, პირველი რომის გავლენის ქვეშაა, მეორე რუსეთს უფრო თანაუგრძობს. ამ ნიადაგზე სამღვდელოების და მთავრობის ცბიერი

ხოლიტიკის წარმოებით აღმოცენდა შური და მტრობა ორ ერთა შორის და ბევრი სისხლიც დაიღვარა ამ შურ-მტრობის მიზეზით. მაგ. წარსულ შემოდგომაზე ზაგრებში და სხვა ქალაქებშიაც სულ უბრალო მიზეზის გამო ხორვატები დერიენ სერბებს და სასინდათ დაწიოკეს, ბევრი მოკლეს, ბევრი დასახიჩრეს, მათი სახლები და ქონება გასაძარცვეს. მაგრამ წელს სულ სხვას ვხედავთ. ხალხმა თვალები გაახილა, იგრძნო, რომ ამდენ ხანს მისი საბინელით სარგებლობდენ სხვადასხვა წარბელები და თავისავე მოძმეს წინააღმდეგ ამხედრებდენ, რომ უფრო დასუსტებულიყვენ და მათი მანა-მორჩილი გამხდარიყვენ. იმათ შეიგნეს ერთობის ძალიერება და ძლევამოსილება და შეუდგენ შერიგების გზას.

როგორც ჩეხური გაზეთი «ხოლიტიკი» სწერს: ამ დღეებში ქალ. ზაგრებში შესდგება ხორვატ-სერბების ერთგული საბჭო, რომელმაც უნდა განაგოს ყველა საქმეები სერბიისა და ხორვატებისა. ნემცები და უნგრები ძალიერ ცუდი თვალით უყურებენ მათ შეერთებას, მაგრამ რა უნდა ქნან? მათი ცდა ამაოდ ჩაიფლეს, რადგან ხორვატები ჯანრანის ფარგალში მოქმედებენ. რაც უფრო შური უცქერიან უნგრები მათ შეერთებას, იმდენათ უფრო მტკიცდება ამ ორ ერ შორის ერთობა, სოლიდარობა. ამ სოლიდარობამ ბირველათ იჩინა თავი მაშინ, როცა ორივე ერი ერთათ მიეგება სერბიის ახალ მეფეს პეტრე I. ხმები დადის ხორვატ-სერბებს ახლა დალმატებიც შეუერთდებიანო. ამ სამი ნათესავი ერის შეერთება ხომ სულ ცოფსა გვრის ნემცების და უნგრულ შოვინისტებს. ისინი შესდგომიან თავდარიგს, რომ შეერთებას ხელი შეუშალონ. მაგრამ ძნელია გამოდვიძებული ერის თვალის ახვევა. რაკი ერთხელვე გამოცდიან ეს ერები სოლიდარობის ნაყოფს, შემდეგ მათი დაშორება და მით უმეტეს გადამტერება შეუძლებელი იქნება.

ინგლისი: ამას წინეთ ინგლისს ეწვია სოფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი ლუბე. ამ მოგზაურობამ ბირველ ხანებშივე მიიპყრო ევროპის პრესის და საზოგადოების ყურადღება. დიპლომატიურ წრეებში ჩურჩული შეიქნა, რადაც ახალს უნდა მოასწავებდეს ეს მოგზაურობა. ეს არც გასაკვირველია. აქამდე ინგლისსოფრანგეთ შორის უთანხმოება იყო ჩამოგარდნილი და სოფრანგეთი დახლოებულ-დამეგობრებული იყო რუსეთთან, რომელსაც ინგლისი მუდამ მტრული თვალით უცქერდა. ბირველათ ეგონათ ლუბეს მოგზაურობა უბრალო, ფორმალური ვალის შესრულებაა, ვიზიტია, მარა ახლა ყველა გაზეთები ერთხმათ ამტკიცებენ, რომ მას დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვსო. გაზეთი «ეკლერი» დარწმუნებით გვეუბნება, რომ ლუბეს ინგლისში მისვლა ორი სახელმწიფოს დაახლოებების ნიშანია, ამიერიდან ისინი ერთიმეორეს უმეგობრდებიან და თუმც ფორმალური კავშირი არ შეუკრავთ, მარა ეს მაინც დიდ ცვლილებას შეიტანს მთელ ევროპის პოლიტიკაშიო...

ინგლისელი გაზეთები ბზურვალე გრძნობით იხსენიებენ ლუბეს მისვლას, და აცხადებენ, რომ „ამით საშუალებით ბოლო მოეღო მათ შორის არსებულ უთანხმოებას და ამიერიდან კეთილგანწყობილების ხანა დადგაო...

დაახლოებების ინიციატივა ეკუთვნის ინგლისს, ან უკეთ რომ ვთქვათ, ინგლისის მეფეს ედუარდს, რომელიც სიმპატიურათ უყურებს სოფრანგეთს და მხოლოთ შემთხვევას ელოდა, რომ მეგობრობა ჩამოეგდო მასთან. ასეთი შემთხვევა მისცა მას შემდეგმა კარგმოებამ. წარსულ დეკემბერში ინგლისი დაადგა გერმანიასთან ერთათ მოქმედების გზას ვენეცუელას წინააღმდეგ. როგორც ვიცით, გერმანიამ ძალმომრეობა იხმარა, რომ ვენეცუელასთვის ვალი გადაეხდევინებინა. ასეთი ზომები ინგლისის ერს და არც ევროპის განათლებულ საზოგადოებას არ მოსწონდათ და ამაში ბრალს სდებდენ, როგორც გერმანიას ისე ინგლისის მეფეს. ედუარდს კი ასეთი რეპუტაცია არათერთ ეპიტნავა და ის ახლა სოფრანგეთთან შეგობრულ კავშირის დაჭერას შეუდგა.

მარა როგორ შეხედავს ამ დაახლოებებს და «გულითად» განწყობილებას რუსეთი, რომელიც დღეს სოფრანგეთის მოკავშირეთ ითვლება? ეგვლამ იცის, რომ ინგლისი ყველაზე უარესი მტერია რუსეთისა. ამბობენ, რომ ლუბეს მოგზაურობა რუსეთმა წინდაწინვე იცოდა და ისიც თუ ამ მოგზაურობას რა შედეგი მოყვებოდა. გაზეთები ამტკიცებენ, რომ შესაძლოა ევროპის [illegible] ასეთი კომბინაცია მოხდეს: ინგლის-სოფრანგეთი და იტალია, ზოგნი კიდევ უფრო შორს მიდიან და ირწმუნებიან ინგლის-სოფრანგეთი-რუსეთი დუბკავშირდებიანო... ეს უკანასკნელი კომბინაცია ყველაზე უფრო ფანტასტიურია...

ირლანდია: ინგლისის მეფეს ედუარდს ჯერ კიდევ მეფეთ კურთხევის შემდეგ უნდოდა ირლანდიაში მოგზაურობა, მარა უკუაგდო ეს აზრი, რადგან ირლანდიელებმა უარი შემოუთვალეს უქმეშევრდომელესი ადრესის მირთმევაზე. ასეთი უკმაყოფილება ინგლისის მიმართ, როგორც ვიცით მიწათმფლობელობის კითხვამ გამოიწვია ერთი მხრით და მეორე მხრით კათოლიკეთა სარწმუნოების დევნამ ირლანდიაში. ირლანდიას ამ კითხვების ასურველათ გადასაწყვეტათ საწირო მიაჩნია ირლანდიის თვითმართველობის (ჭიმრულის) შემოღება, მაგრამ მთელ საუკუნის განმავლობაში დაუდადგმა ბრძოლამ ამაოთ ჩაუარა. ახლა ბრძოლამ გამწვავებული ხასიათი მიიღო და ინგლისიც იძულებული შეიქნა მიწათმფლობელობის რეფორმები შეეტანა პარლამენტში. ეს რეფორმა იმდენათ სუსტი გამოდგა, რომ ვერ აკმაყოფილებს ვერც მიწათ მოქმედთ, ვერც მიწათმფლობელთ. აქედან საერთო უკმაყოფილებაა მთელ მხარეში. ინგლისის მეფეს კი ეგონა, რომ ბიდლის წარდგენის შემდეგ ირლანდიელები უფრო სიმპატიურათ შეხვდებოდენ, მარა მოსტეუფდა. აი რას ამბობენ გაზეთები: დუბლინში (უმთავრესი ქალაქია ირლანდიისა) ქალაქის საბჭოში კრება იყო იმის შესახებ, მივართვათ თუ არა ედუარდს უქვეშევრდომელესი ადრესი, საბჭოს სადგომს აუარებელი ხალხი მოაწყდა. მაყურებელთათვის გადაწყვეტილი ადგილი სულ ერთიან გატენილი იყო. დანარჩენ ხალხს ადარ უშვებდენ. ხალხმა ძალათ შეამტვრია კარები და შესვლა დაიბირა. მაშინ მოწვეულ იქნა პოლიცია, რომელმაც ძალივს ადადგინა წესიერება. კრებას მეტათ ადელვებული ხასიათი ქონდა, ორატორები გაცხარებული ლაპარაკობდენ. ხალხი ყურადღებით ისმენდა მათ სიტყვებს და თავის აზრს მოწონებით და დაწუნებით ხატავდა. იმ ორატორებს, რომელნიც ადრესის წინააღმდეგნი იყვენ, ხალხი ტაშის ცემით და „ვაშას“ ყვირილით ეგებებოდა. ერთმა ორატორმა კედიმ სთქვა, რომ მეფეს ადრესს ვერ მივართმევთ, რადგან მას ხელიუწერია სასზიზღარ ფიცზე, რომელიც კათოლიკეთა წინააღმდეგია, ირლანდიელები ვერ შეაქებენ ისეთ კაცს, რომელიც მათ წინააღმდეგ ფიცსა სდებსო. ხალხის ტაშის ცემას და ვაშას ყვირილს სასზღვარი ადარ ქონდა. შემდეგ კენჭი ეყარეს ამ საკითხს და 40 ხმით 37 წინააღმდეგ უარყვეს ადრესის მირთმევა:

იტალია. წარილი მოხელენი დაბალი მოსამსახურე ბირები ოჯეულ დაწესებულებაში მეტ შეეწყობოდა ითმენენ. მათ ბევრს აკეთებინებენ და სასყიდელი კი მცირე ეძლევათ. ამიტომ მათში ხშირია უკმაყოფილება თავის მდგომარეობის და სურვილი მისი გაუმჯობესობის საერთო მოქმედებით იხატება. მათ აერთებთ აკავშირებთ საერთო გაწირვა, ასეთ მდგომარეობაში არიან ბოლიციის დაბალი მოხელენი, გორდოვებიც, როგორც მაგ., გამოირკვა რომის ამბებიდან. რომში, იტალიის დედა ქალაქში, ამხანათ ხმა ამოუღიათ გორდოვებსაც და თავის მდგომარეობის გასუმჯობესებლათ მოუთხოვიათ ჯამაგირის მომატება. სხვადასხვა მიზეზების გამო მათი მოთხოვნილება უყურადღებოთ დაუტოვებიათ. ამიტომ გორდოვებს გაფიცვა მოუხდენიათ. მათ გამოუცხადებიათ, რომ არც თავის ადგილზე დადგებიან, და არც მშვიდობიანობას დაიცვენ, თუ მათი მოთხოვნილება არ იქნა დაკმაყოფილებული. ამნაირათ ერთ მშვენიერ დღეს მთელი ქალაქი უდარაჯოთ დარჩენილა. ქალაქში წესიერების დასაცვლათ და თან კაზარმების სათვალთვალოთ, სადაც გორდოვები ცხოვრობენ, გამოუწვევიათ რამდენიმე ბატალიონი ჯარი...

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐ. რაც დრო მიდის, იმდენათ უფრო მეტს ყურადღებას იპყრობს საზოგადოებისას მშრომელთა მდგომარეობა. რამდენათაც შრომის წარმომადგენლები შეგნებული ხდებიან, თავის ინტერესების დასაცველათ მხნეთ გამოდიან, იმდენათ მატულობს ეს ყურადღება. განსაკუთრებით ყურადღება აქვს მიქცეული მუშათა და კაპიტალისტთა ურთიერთობას, რომელიც ხშირათ მეტათ მწვავე ხასიათს იღებს.

მუშათა და კაპიტალისტთა მოსარიგებელი საუკეთესო საშუალება მუშათა წარმომადგენლების დანიშვნაა. აი რას ამბობს ერთი ბერლინელი ფაბრიკანტი წარმომადგენლობის შესახებ. ჩემს ფაბრიკაში ყოველი სადავო კითხვა ირჩევა კომისიაში, რომელშიც მონაწილეობენ ერთი მხრით მე, მეორე მხრით მუშათა წარმომადგენლები. ისინი საზოგადო კრებაზე ირჩევენ 11 დელეგატს, მე ვნიშნავ 4 დელეგატს ფაბრიკის ადმინისტრაციისაგან, დელეგატები იკრიბებიან თვეში სამჯერ, თუ საჭირო იქნება მეტჯერაც, ხოლო განუწყვეტლივ მოქმედებს მათგან არეჩული კომიტეტი, რომელიც სამი პირისაგან შესდგება. აქამდე ჯერ კიდევ არ ყოფილა ისეთი შემთხვევა, რომ მე არ დავთანხმებულიყავ კომისიის დადგენილებას. თუ რაიმე კითხვის შესახებ უთანხმოება ასტყდება, მე მიმიწვევენ კომისიაში და მკირე კამათის შემდეგ საქმეს მორიგებით ვათავებთ. ასეთი მორიგებით ჩვენ გადავწყვიტეთ ყველა წამოყენებული კითხვები ხელ-ფასის მომატების შესახებ, 8 საათის სამუშაო დღის შესახებ, 1 მაისის დღესასწაულობის შესახებ და სხვ. 28 წელიწადია რაც მე ფაბრიკის პატრონი ვარ და ამ ხნის განმავლობაში ერთხელაც კი არ შეწყეტილა ჩემსა და მუშებს შორის კეთილ-განწყობილება“.

ამიტომ მისი აზრით ფაბრიკებში მშვიდობიანობის და წესიერების დასაცველათ არაფერი არაა საჭირო, გარდა ერთისა, სახელდობრ, უნდა შემოღებულ იქნეს მუშათა წარმომადგენლები, საჭიროა ამასთანავე მუშა გრძნობდეს, რომ ის ფაქტიურათ წარმოადგენს სრულიად თავისუფალ და ფაბრიკანტთან შედარებით სრულუფლოვან ადამიანს. თუ ხაზეინი ძალას ხმარობს მუშების წარმომადგენლებზე და სურს მათი დაჩაგვრა, ის ვერასოდეს ვერ მოიპოვებს მუშათა ნდობას. კომისიის კრებები უნდა საჯაროთ ხდებოდეს, რომ ყველა მუშას შეეძლოს დაესწროს და თვითონ დარწმუნდეს, რომ დელეგატები მათ ინტერესებს იცავენ. კომისიას უფლება აქვს შესცვალოს ძველი წესი ფაბრიკებში და შემოიღოს ახალი. ისინივე განაგებენ ყველა იმ დაწესებულებებს, რომელნიც მუშებისთვის არიან დაარსებული ფაბრიკებთან. ისინივე კრებენ ჯარიმებს მუშათა დაწესებულების სასაგებლოთ. ბევრი ფაბრიკანტები უკვე თანხმდებიან ასეთ წესების შემოღებაზე, მარა სადაც ერთხელვე გამწვავდება მუშუთა საკითხი, იქ შერიგებაზე და ნდობაზე ლაპარაკი შეუძლებელია... დაახლოვებით ასეთივე აზრი წარმოუთქვამს მეორე კაპიტალისტს, ტრამვაიების დირექტორს ბერლინში, მას უთქვამს ერთ გაზეთის თანამშრომლისათვის, რომ მუშებს აუცილებლათ უნდა ყავდეთ თავის წარმომადგენლებიო, მეტადრე დიდ საქმეებში უამისოთ იოლათ ვერავინ წავალ. როცა მრავალ მუშასთან გაქვს საქმე, ყველას ის ეჯობინება, ხუთი ან ათი წარმომადგენელი აარჩევიო და ყოველი მოლაპარაკება იმათთან იქონიო. რასაკვირველია პირველათ არვის ესიამოვნება, როცა დეპუტატი მეეტლე (<ქუჩერი>), ან კონდუქტორი უფროსებს მოურიდებლივ სიმართლეს ეუბნება პირში, მაგრამ უნდა გამოგიტყდეთ, რომ წარმომადგენლებათ ძლიერ იშვიათათ ირჩევენ მყვირალა ხალხს. მომეტებულ ნაწილათ მუშები გონიერ და საქმის მცოდნე ხალხს ირჩევენ. ამათი სარჩევარი ყოველთვის საფუძვლიანი და მშვენივრათ დასაბუთებულია. წარმომადგენლებს მუშები ტრამვაის დეპოებში ირჩევენ დაფარულ კენჭის ყრით; ამას გარდა ბერლინის ტრამვაის მეეტლებს და კონდუქტორებს დაარსებული აქვთ აგრეთვე „ბერლინის ტრამვაის მოსამსახურეთა საზოგადოება“. ამ საზოგადოებას 4,000-ზე მეტი წევრი ყავს. საზოგადოებას აქვს კასა, საიდანაც წევრებს გაჭირვების დროს ფული ეძლევათ სესხათ. საზოგადოებამ მოკლე ხანში 60 სადგომი აუშენა ცოლ-შვილიან მუშებს და ამას წინეთ ერთი ნაჭერი მიწაც იყიდა მრავალ სართულიან სახლების ასაშენებლათ; საზოგადოებას აქვს გამართული იურიდიული ბიუროც; კერძო საქმე ექნებათ, თუ დირექციასთან დავა მოუვათ, ეს ბიურო იურიდიულ დახმარებას უწევს საზოგადოების წევრეს.

***

გათენდეს ბარემ, სიბნელით
ამომიღამდა თვალები,
ლოდინმა მომკლა რიჟ-რაჟის
მის სხივებს ვენაცვალები.
გათენდეს, რალას უყურებს
შუალამითვე ფეხზე ვარ,
გათენდეს, დაბადებული,
ხომ იცის, მე მის ბედზე ვარ,
გათენდეს, რომ მის სხივებში
სევდებით მკვდარი გულისთვის
ვპოვო მკურნალი მალამო
და საზრდო წყლული სულისთვის;
შევხედო მიჯნურს თვალებში,
მწვავდეს შიგ ცეცხლი ნთებული,
მეც ვიგრძნო ერთხელ სიამე
დამტკბარი, გაახლებული.
რათ მინდა, დღეს თუ ცოცხალ ვარ,
ბნელით მოცული არენი
მთვარის და ვარსკვლავთ კრებული
სიბნელის მოწმე მწარენი.
გათენდეს ბარემ, სიბნელით
ამომიღამდა თვალები,
მომკლა ლოდინმა, რიჟ-რაჟო,
შენს სხივებს ვენაცვალები.

დარია ხუნდაძისა.

ᲫᲘᲫᲐ

(მოთხრობა გურიის ცხოვრებიდან)

IV

(გაგრძელება. იხ. „ᲙᲕᲐᲚᲘ“ № 23)

ორივე ბავშვები ერთათ ძირს ხალიჩაზე დააჯდინეს. ქრისტინეც ჩამოჯდა იქვე მათთან და უცქეროდა თავის შვილს დაღონებულის, დარცხვენილის სახით. მას სრულიადაც არ უნდოდა ბავშის მოფერება. ეძებდა თავის გულში ცოტაც არის მაინც სიყვარულის მზგავს გრძნობას, ვერ პოულობდა, უყურებდა მას მძულვარებით და უფრო და უფრო რცხვენოდა თავის უგულობის. დედამთილი იჯდა მაღლა ტახტზე და ეუბნებოდა გაღიმებული: მიეფერე, მიეფერე, ქალო, ეგება გიცნოს.

— ქრისტინე ცოტათი დაიხარა ბავშისაკენ. ამ დროს ბავშმა შეხედა დედის კისერზე ჩამობმულ მძივებს, თუ მარ-

თლა იგრძნო დედის სიახლოვე, მოულოდნელათ გაუშვირა მას ორივე გამხდარი პაწია ხელები, გაიცინა ტანჯულის ღიმილით და ორი ქვევითა კბილი გამოაჩინა. ამ სუსტმა გაცინებამ თავისი ქნა: ერთ წამში თითქო საოცრებით-მოქმედმა ძალამ დილის მზის სხივებივით შეაშუქა დედის გულში და მოულოდნელათ გაშალა შიგ დედობრივი სიყვარულის ყვავილი. ქრისტინეს მთელ არსებას, სულს, გულს მოედვა ამ პაწაწკინა ბავშის სიყვარულის გრძნობა, თითქო მან ამ წამში იპოვნა დაკარგული შვილი. ის სწრაფათ სწვდა თავის გულს, საჩქაროთ გაიხსნა ღილები, სწრაფათ აიყვანა შვილი ხელში, ჩაიკრა გულში და ჩაუდვა ძუძუ პირში.

ბავშვმა ჯერ გაუბედავათ და მერე უფრო თამამათ და ხალისით დაუწყო წოვა დედის ძუძუს. ქრისტინე გაკეირვებული, სიხარულით აცრემლებული თვალებით, სიბრალულის ღიმილით დასცქეროდა მაღლიდან და დახაროდა მას და შვილის ყოველ მოწოვაზე, ყოველ მის ყლუპზე კიდევ უფრო და უფრო იზრდებოდა მის გულში სიყვარული და მწვავე სიბრალული ამ პატარა ქმნილებისადმი, რომელიც თითქოს მისი გულიდან ამოგლეჯილი პატარა ნაჭერი იყო, რომელსაც ის პირველათ ხედავდა, მაგრამ საშინლათ უყვარდა ის. თავისი მადიანის ჭამით ის თითქო დედას გულის წყლულს უმრთელებდა, თითქო მალამოთ ედებოდა მას. ბავშვმა ერთს წუთს შესწყვიტა წოვა, დაანება ჭამას თავი, ბედნიერის ღიმილით შეხედა დედას თვალებში, გაიცინა, მოუცაცუნა ძუძუზე ხელი და ისევ დაიწყო წოვა. ქრისტინე მისწვდა პირით და აკოცა ხელებზე, მერმე დაიხარა შუბლზე აკოცა და ისევ დაუწყო ყურება. მას ერთ და იმავე დროს ტირილიც უნდოდა და სიცილიც, ერთ და იმავე დროს ბედნიერიც იყო და უბედურიც. ბავშვმა კიდევ ასწია თავი, კიდევ შეხედა დედას და კიდევ გაუღიმა. ქრისტინემ მოაბრუნა ის და მეორე ძუძუ ჩაუდვა პირში. ბავშვმა კიდევ დაიწყო წოვა ხელების ცაცუნით, მაგრამ სწოვდა ახლა ის უფრო ნელ-ნელა, თანდათან თვალები ეხუჭებოდა. ცოტა ხანს შემდეგ სრულიად ჩაეძინა და მხოლოდ ძილშიღა აცმაცუნებდა ინსტიქტიურათ პირს: ეხლა როცა ბავშვს ეძინა და მისი თვალების ტანჯული საცოდავი გამომეტყველება არ ჩანდა, ქრისტინე დასცქეროდა მას და ეჩვენებოდა, რომ ის ამ რამდენიმე წამის განმავლობაში გაიზარდა, გასუქდა და გალამაზდა. თუმცა ეს ის „მაროიე“ არ იყო, რომელიც მან დატოვა შინ თავის ქმართან „მის“ კოწიასთან, რომელსაც ასე ძალიანა გავდა ეს პატარა გამხდარი „ბალანაი“, მაგრამ ესეც ისე, როგორც ის პატარა ფუნთუშა კიდევ უფრო საყვარელი და საცოდავი იყო. მას მოაგონდა ქმარი ისეთი კარგი და გულ-კეთილი, როგორიც იყო იმ ხუთი წლის განმავლობაში შინ და გული სიყვარულით და სიხარულით აევსო. მას მოუნდა ქმრის ნახვა და დაენანა, რომ ისიც არ ჩამოვიდა. მწვავე სინანული იგრძნო, რომ იქ ორ ჩამოსვლაზე, ის გულგრილათ და დაცინვის კილოთი შეხვდა მას. ერთ წუთს გაითვალისწინა მან მისი დანაშაულომა ამ ხუთი თვის განმავლობაში ქმრის წინაშე, შერცხვა და კიდევ უფრო მოუნდა მისი ნახვა. ბავშვს ეძინა და ქრისტინე დასცქეროდა ისევ ისე გულის ტკივილით და სიყვარულით. პაწია ჟორჟეტას, რომელიც ქრისტინეს გვერდში დამჯდარი ქლარუნებს ათამაშებდა, გაუვარდა ხელში და ტირილი მორთო. ქრისტინემ აიყვანა ისიც და დაიჯინა მუხლზე. ჟორჟეტამ კროჭინით კიდევ უფრო დაუწყო ძიძას ხელების პოტინი. ძიძამ გამოაძრო ფრთხილათ, რომ არ გამოეღვიძებინა, თავის შვილს თავს ქვეშ მარჯვენა ხელი, მეორეთი მძინარე ბავშვი ისევ ეჭირა, მიიხუტა გულზე ეს მსუქანი, მაგარი ბავშვი და დაუწყო კოცნა. მერმე გადაუწია თავი და უყურებდა თვალებში ბედნიერებით და სიხარულით სავსე გამომეტყველი თვალებით.

— გენაცვალოს შენი ძიძაი, გენაცვალოს, ჩემო ფუნთუშავ, წარმოსთქვა მან სიხარულით და შეხედა თავის შვილს. — შენი ჭირიმე, ჩემო მაროიავ, ჩემო ნენავ! — თქვა მან და ისევ ჩაიხუტა თავის გაზრდილი.

— აღარ ვიცი, რომელი მიყვარს უფრო, — უთხრა მან დედამთილს. — აგი სიხარულია და აგი სიბრალული — აჩვენა მან თვალებით ჯერ გაზრდილზე და მერმე შვილზე, — მარა არც უამისოთ და არც უმაგისოთ სიცოცხლე არ შემიძლია, მგონია, ამასთან კოწიეია და ამასთან... აღარ დაამთავრა მან აზრის გამოთქმა.

— ეჰ, რეიზა არ ჩამოვიდა კოწიე? — დაუმატა მან ცოტა სიჩუმის შემდეგ გულმტკივნეულათ.

— ასეა ყოველთვის, გაზრდილი და შვილი ერთნაირი საყვარელია, — თქვა მზეხამ.

— ამას რომ უყურებ, მაროიას წაართვა მგონია აი სიმსუქნე და აი ხორცი, იმის დაკლებული დღეი ამას შეემატა, მგონია, და მგონია, აგი არ უნდა იყოს ასე; მარა მაინც მიყვარს აი ბალანაი. ამას რო უყურებ ასე მხიარულს, ჩემი სული ხარობს, მაროიას რომ უყურებ ასე გამხმარს და მჭლეს, გული ამომგლიჯეს, მგონია, და იგი ნაგლეჯი მტკივა, სული მეტანჯება, მარა მაინც ერთნაირათ მიყვარს ორივე...

მძინარე ბავშმა ნელათ დაიკვნესა ძილში. ეს სუსტი დაკვნესება ცივათ მოხვდა ქრისტინეს გულს, მას ეჩვენა, თითქო ვიღაცამ ჩასჭიდა მის გულს უჩინარი ხელი, გამოწურა ის და რაც ძალი და ღონე ქონდა გამოსწია ამოსაგლეჯათ. რაღაც უიმედო, ნაზი სიყვარულით ასწია მან შვილი ნაზათ, მიიკრა გულში და აღარ უნდოდა მოეშორებინა ეს მისი ტანჯვით ნაშობი შვილი, რომელსაც მან მიანიჭა სიცოცხლე და რომელიც ეხლა სანთლის პატარა ნამწვივით უწყალოთ ქრებოდა. მას მოუნდა შინ წასვლა ახლავე ქმარ-შვილთან, ოჯახში ცხოვრება ისე, როგორც ცხოვრობდა უწინ. უნდოდა დაუყონებლივ მიეტოვებინა აქაურობა, რომელიც სულით და გულით სძულდა მას ამ წამში. მაგრამ ყველა ამაებს დედამთილი ვერ მიხვდებოდა და „ჭკუის დარიგებით ამომართუმს სულს“. „კოწიეი კი მიხთებოდა და წამიყვანდა შინ“ — იფიქრა მან.

— ახ, რეიზა არ ჩამევიდა კოწიეი — თქვა მან კიდევ დარდიანათ.

მზეხა მართლაც ვერ მიხვდა ქრისტინეს სულის მდგომარეობას და უთხრა წყენით:

— რავა, ხომ გითხარი კოწიას არ სცალია, საყანეს კაფავს მეთქი, შენ კი ჭამ აქანაი უზრუნველათ თეთრ პურს, მარა ჩვენ ჭადის ჭამა არ გვინდა, თუ, რას ფიქრობ?

— აჰ, ბატონო, რეიზა მომაცილე ქმარ-შვილს, რეიზა დეიდევი ჩემი ცოდვა? იგი მარიაიეი მომიკტა, მგონია, და ახლა ამასაც ქე უნდა მოვსცილდე...

— მადლობის მაგიერ კი მემართლები ახლა მაგას, რომ გაგიზარდე ბალანაი. ოცდა ორი წელიწადია ბალნიანი აღარ ვყოფილვარ და ახლა ამხელა ქალს საგებების რეცხა მიამება, გგონია შენ! მარა სიბერეში სიქაჩლეს მიელოდეო, ნათქვამია. ღმერთი ჩემი გოგიეის ნახვას მომასწრებდეს თვარა... გსდმოსცვივდა ცრემლები მზეხას.

როგორც ყოველთვის ქრისტინეს შერცხვა, რომ აწყენია დედამთილს და მერმე კიდევ სტუმრათ მოსულს.

— კაი, ბატონო, უკაცრავათ ვარ, მარა სიმწარემ მათქმია; ნამეტარი დაკოდინებულია ბალანაი.

შემოვიდა ტასია საშინაო ტანისამოსით თეთრ წინსაფარ აფარებული და მხიარულათ დაიწყო იმის მბობა, თუ სად

იყო და რა ნახა. ქრისტინე თითქმის სრულიათ არ უგდებდა ყურს. მას გარკვევით ესმოდა ტასიას სიტყვები, ესმოდა დედამთილის გაკვირვებული „ნენავ, რას მიჩივი მაგას“ და სხ., მაგრამ რა აზრი, რა მნიშვნელობა ქონდა იმათ ლაპარაკს არ იცოდა. სასადილო ოთახიდან ისმოდა თეფშების ჩხარაჩხური. „დენშჩიკი სადილიზა სუფრას აწყობს, ბატონები ჩქარა მოვლენ“—გაიფიქრა ქრისტინემ. ბავშს ისევ ეძინა კალთაში და მხოლოდ ხანდისხან შეკრთებოდა და სუსტათ კვნესოდა ძილში. ჟორჟეტა კი იჯდა მის გვერდში, ხელში დაწნული ქღარუნა ეჭირა, რომელსაც ხან პირში იდებდა და ხან მხიარულათ აჟღარუნებდა. მოსავალ კარებში გაისმა ზარის წკარუნი, დენშჩიკი ნელის ნაბიჯით წავიდა გასაღებათ. ქრისტინე საჩქაროთ წამოდგა და მიმართა ტასიას:

— ტასია, მუუარე, შენი ჭირიმე ჟორჟეტას, ბაღანას დავაწვენ და მუალ ახლავე. ბატონო, წევიდეთ, სამზარეულოში,—უთხრა მან დედამთილს და ორივენი საჩქაროთ გამოვიდენ ოთახიდან. ქრისტინეს მიყავდა მძინარე შვილი და ოცნებით ფიქრობდა იმ დროზე, როდესაც ეღირსება შინ წასვლას, რომ განუშორებლათ იცხოვროს შვილთან.

სადილათ მარტო ვაჟბატონი მოვიდა შინ. ქალბატონმა ბარათი გამოგზავნა, რომ არ ელოდნათ და სადილი ეჭამათ უიმისოთ. „სადამოზე გვიან მოვალ“, იწერებოდა ის. ვაჟბატონი განრისხებული მოიღრუბლა ბარათის კითხვის დროს, მაგრამ დაჯდა თუ არა სადილათ, ჭამაში სწრაფათ გამხიარულდა.

ჭამა თუ არა მზეხამ სადილი, შინ წასასვლელათ აჩქარდა, რომ „დღის სინათლაი“ ჩასულიყო შინ, მაგრამ ჯერ ვაჟბატონთან დასამშვიდობებლათ წავიდა. მისი აზრით კაცის ოჯახში მისვლა სმა-ჭამა და მადლობის გადაუხდელათ წასვლა დიდი უზრდელბა იქნებოდა. ბატონმა ის იყო გაათავა სადილი და ამდგარი უკანასკნელ ჭიქა ღვინის დალევას აპირებდა, რომ შევიდა ოთახში მზეხა. ბატონმა გაკვირვებული დაუწყო მას ყურება.

— მე, ბატონო, თქვენი ძაძაის დედამთილი გახლავარ, დაიწყო მზეხამ ტკბილის ხმით.

— ააა,—თქვა ბატონმა,—რა, მოხვედი ძიძას სანახავათ? ჩაასხა მან დიდ ჩაის ჭიქაში წითელი ღვინო და მიაწოდა მზეხას.

— დიახ, ბატონო, გიახელი, ბაღანაი ჩამუუყვანე, ვანახვე. ღმერთმა შენი თავი ნუ მომიშალოს,—ჩამოართვა მან ჭიქა.—ბედნიერი ცხოვრება მოგცეს მამა ზეციერმა!—ალაპყრო ჭერში მან თვალი, გადაიწერა პირჯვარი ლა დალია ღვინო. ასე მტერი დაგეცალოს,—გიდმოაბრუნდა ჭიქა და დადგა სუფრაზე. მერმე მოიწმინდა კაბის სახელოთი პირი და წავიდა ბატონისაკენ.

— მშვიდობით, ბატონო, შენი ჭირიმე. ბატონმა საჩქაროთ ამოიღო ჯიბიდან ვერცხლის მანათიანი და ჩაუდვა მას ხელში. მზეხა სწრაფათ დაიხარა, წაავლო ორივე ხელები ხელზე, ერთში ისევ ქონდა ვერცხლის მანათიანი, და აკოცა ხელზე.

— ვაჰ, რა საჭიროა ეს, რა საჭიროა,—გამოგლიჯა მან ხელი თავის ქნევით, მაგრამ კიდევ ამოიღო მეორე მანათიანი და კიდევ ჩაუდვა მას ხელში. მზეხა დაიხარა, რომ კიდევ ეკოცნა, მაგრამ ველარ მოასწრო, რადგანაც ბატონმა საჩქაროთ გამოგლიჯა ხელი და გავიდა მეორე ოთახში.

— ღმერთმა შენი წყალობა ნუ მომალოს, ჩემო მწყალობელო, ჩემო გამკეთებელო,—ამბობდა გახარებული, ღვინისაგან შეწითლებული მზეხა და ხვევდა ფულს ლილისაგან სრულიად გალურჯებულ ცხვირსახოცში. როცა გაახვია, ჩაიდვა უბეში და წავიდა სამზარეულოში, სადაც ქრისტინე [illegible] ხელში უცდიდა მას.

— დედავ, ჩემი გოგიეის მადლი კი [illegible] გიორგი შეეწიოს და დიდი დღეი მისცეს [illegible] გუუგზავნი, გუუგზავნი, რავაც ჩავალ შინ. მომწერა შვილო „აქოურ შავ პურს ვერ შევეჩვიე და პაწაი ფარა გამომიგზანეო“. მზეხა მოემზადა ასატირებლათ.

— კაი, ჩემი ბატონი, აგიც გუუგზავნე.—მიაწოდა ქრისტინემ სამ მანათამდის ნაჩუქარი წვრილი ფული.

— კი ნენავ, კი ნენავ, შენ მაგიორათ გუუგზავნი.

— ამ ფოტაში რაცაა, ბატონო, შენი იყოს და ბაღნის რაცხა-რაცხაებია შით, იგი მაროიას ჩააცვი. ჩემი ბატონი, თუ მეიცალო კიდევ ჩამომიყვანე ბაღანაი.

— კი ნენავ, რავაც მივიცალო და ფარა ჩამომივარდება ხელში. აწი კაი დარებია და რეიზა არ ჩამევიყვან.

ლაპარაკით ჩავიდენ ისინი კიბეზე, გაიარეს ეზო და მივიდენ ჭიშკართან. იქ ქრისტინემ ჩააჯდინა დედამთილი ეტლში. დაუკოცნა ბავშს პირი, თვალები, ხელები, მერე კიდევ აკოცა ხელებზე და მისცა მზეხას ხელში.

როცა ეტლი დაიძრა და ქვებზე გოგრების რახრახი გაისმა, ქრისტინემ იგრძნო თითქო მის გულში გახურებული რკინის გოგრები დატრიალდა. ის უყურებდა ეტლს, სანამ სრულიათ არ მოეფარა თვალს და თვალცრემლიანი დაბრუნდა სახლში, თავის ოთახში, სადაც კალიასკაში ჟორჟეტას ეძინა ტკბილის, ბედნიერის ბავშურის ძილით. ფანჯარასთან ჩაფიქრებული და დაღონებული, როგორც ეჩვენა ქრისტინეს და როგორც მას არასოდეს არ უნახავს, იდგა ტასია.

— ახ, ქრისტინე, მე რომ შენ გიყურე დღეს, კიდევაც მეცოდებოდი და კიდევაც მეხარბებოდა. მე მგონია, რომ გავთხოვდე და შვილი მეყოლოს, მაინც ვერ გამოვცდი იმნაირ სიყვარულს. მეხარბებოდა, ბედნიერი რომ ხარ, ქმარშვილი გყავს, წახვალ სოფელში და ერთათ იქნებით, მე კი... ეჰ, ჩემი საქმე წასულია ხელიდან!—ნაღვლიანათ წარმოსთქვა მან და გაიქნია თავი.

— რას ჩივი, ჩემო ტასია, იგი ღმერთმა იცის, რა მიელის კაცს, მარა შენისთანა თვალადს და ჭკვიანს კაი ქმარი შეგირთავს და ბედნიერი იქნები. ჩემი საქმე სხვაა, სოფელში გაზდილს, ვინ რას მკითხავს.

— ეჰ, ნეტაი მეც სოფელში დავრჩენილიყავი და...

ისინი დიდხანს, ტახტზე ერთი-ერთმანეთთან ახლოს მიმსხდარნი, ნელის ხმით იგონებდენ თავიანთ წასულ ბავშვობას, ოცნებობდენ ტანისამოსზე, სხვა ნაცნობი ქალების ღირსება-ნაკლულევანებაზედ ცოტ-ცოტათი შეუმჩნევლათ ორივენი გამხიარულდენ. ახლა ისხდენ ისინი ხელი ხელს გადახვეულნი და დრო გამოშვებით ნელის, მხიარულის სიცილით იცინოდენ.

დაბინდდა, ოთახშიაც თან და თან ბნელდებოდა. ქრისტინე და ტასია ისევ ისხდენ და ახლა სიყვარულზე ლაპარაკობდენ. ტასიამ უამბო, როგორ იკლავს ქრისტინესთვის თავს სანდროია.

— „ნეტაი ერთი მაკოცნია და მერე მომკლაო“—ჩივა, ამბობდა ტასია.—ნეტაი მაინც, რა ლამაზია თვითონ!.. დაუმატა ტასიამ.

ქრისტინეს ერთობ ესიამოვნა ტასიას სიტყვები, რადგანაც სანდროია მას თითონაც მოსწონდა, ნამეტნავად მაშინ, როცა ქუჩერთან იჯდა კოფოზე, წითელი ჩოხით გამოწყობილი, დიდი თეთრი ბოხოხით თავზე, უკან ყაბალახ გადაგდებული, ყვითელ წუღა მესტებში, ხელზე თეთრ ხელთათმანებით, „მერე რა კოხტათ ქონდა ხოლმე ყოველთვის ცალი ხელი წელზე შემოდგმული, რა კოხტათ იცის გადმოხტომა,

როცა ქალბატონს ჩამოსვამს ფაიტონიდან“, იფიქრა ქრისტინემ და რაღაცა სასიამოვნო გრძნობამ დაურბინა ტანში.

მთელ სახლში სიჩუმე სუფევდა. ვაუბატონს ეძინა თავის კაბინეთში, მხოლოდ ქუჩიდან ისმოდა ეტლების რახა-რუხი. ქრისტინეს მოაგონდა ბავშვი და დედამთილი და გაუკვირდა, რომ ასეთი ცოტა დრო გავიდა იმათი წასვლის შემდეგ, მას თითქო დაავიწყდა იმათი სახე, ნამეტნავათ ბავშის სახე სრულიათ აღარ ახსოვდა.

— დიაღ, როგორ არა მეთქი, ვუთხარი მე, განაგრძო ტასიამ,—სწორეთ შენისანას იკადრებს ქრისტინემეთქი. მოკტა კაცი, მოკტა რაღაი.—ორივემ გულიანათ გაიცინეს. ამ დროს მოულოდნელათ გაიღო კარები, ქრისტინე და ტასია ორივენი შეკრთენ ღა მიიხედეს იქითკენ. კარებში იდგა ვაუბატონი მხიარულათ გაღიმებული ლურჯი მოკლე ტუჟურკით, პაპიროსით პირში. მაგრამ დაინახა თუ არა ტასია და ქრისტინე ერთათ, ის თითქო შეკრთა, შეჩერდა ერთ წუთს და შერცხვენილი დაიწყო ულვაშების გრეხა. მის დიდრონ ლურჯ თვალებში სიხარულის შუქი უცებ ჩაქრა, ის ცოტა ხანს იდგა და მერმე საჩქაროთ წავიდა კალიასკისკენ და დახედა ბავშს.

— ააა ჟორჟეტა პავლოვნას სძინავს?—თქვა მან და გამობრუნდა ქალებისაკენ, რომლებიც ახლა, ტასია დამცინავის და ქრისტინე ოდნავ კეკლუცი ღიმილით იდგენ ფეხზე.

— აა, რაო შენმა დედამთილმა, წამოდიო ხომ არ უთქვამს? იქნება მოსწყინდა უშენოთ შენ ქმარს? ხა-ხა-ხა...—გადაიხარხარა მან ცინიკურათ.—ჯერ რომ არ გიშვებს ჟორჟეტა პავლოვნა, როგორ იქნება ა?.. მაგრამ მან იგრძნო ტასიას დამცინავი გამომეტყველების მნიშვნელობა, საჩქაროთ გამობრუნდა და ჩქარის ნაბიჯით გასწია კარებისაკენ. მოაბრუნა თუ არა, მან ზურგი ქალებისაკენ, ტასიამ მაშინვე დაიგრიხა უცნაურათ სახე, გამოუყო ენა, ორივე ხელები მიიდვა ცხვირზე, წაიგრძელა და აათამაშა თითები. უცებ ისევ მოიშორა ცხვირიდან ხელები, მიიდვა ისინი თავზე, იქით აქით რქებივით გაიკეთა თითები და ისევ ისე ენა გამოყოფილი და სახე დაგრეხილი დაედევნა უკან ვაუბატონს ფეხ და ფეხ. როცა უკანასკნელი გავიდა კარებში, მან სწრაფათ მიხურა ისინი, ორივე ხელებით ქოქოლა მიაყარა და მიაძახა:

— მეხი კი დაგაყარე მაგ მწარეხაპა თავში... და აქ ისეთი სიტყვა დაატანა, რომ ქრისტინე სახტათ დარჩა განცვიფრებული, მაგრამ მერმე გულიანათ გადაიხარხარა და დიდხანს იცინოდა, იცინოდა ისე, რომ ცრემლებს ველარ იკავებდა, გორაობდა ტახტზე და იჭერდა მუცელზე ხელს. იცინოდა ტასიაც და თანაც ბოროტის დიცინვით ამბობდა:

— არა, ცოლი სად ბრძანდება ახლა, და იგი აქ შამობძანდა. გიცნობთ, რაც ოქროს კოჭი ბრძანდები და რისთვისაც შამობძანდი აქ. ცოლს არც მაი ჩამორჩება, ეგება კიდევაც წაიცილოს. აქანაი მაშინ რომ ჩამოვედი ბალანაის სათამაშებლათ, იმ ბალანაის, რუსეთში რომაა, ბონნა ყავდენ, ერთი პრანჭია ვინცხა ქალი, მე არ მერიდებოდენ სოფლის ბალანაიაო. და რას შობოდენ... ფუ!—გააფურთხა მან,—გახსენებაც შერცხვება კაცს...

ღამე როცა ქრისტინე დასაწოლათ ემზადებოდა, მას მოაგონდა დღევანდელი დღე და გაუკვირდა: ერთობ დაჩრდილულ დიდი ხნის ამბავათ ეჩვენა მისი დღევანდელი მღელვარება და ტანჯვა შვილის შესახებ. ცხადათ მხოლოთ მარტო ვაუბატონს ხედავდა ის კარებში გაჩერებულს, მაღალი წარმოსადეგი ტანით, ხედავდა როგორ უბრწყინავდენ მას ლამაზ ცოტათი ლაბაბიან სახეზე დიდრონი ლურჯი თვალები. ქრისტინე გრძნობდა, რომ ამ ლამაზ „ჩინებიან“ კაცს მოსწონს ის და უხაროდა. მას მოაგონდა ტასიას სიტყვები და კიდევ გადაიხარხარა...

ნ. ნაკაშიძისა.

(შემდეგი იქნება).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი კერა

სადაც ღვივის ნაპერწკალი,
იქ ჯერ კერა არ ჩამქრალა,
ბევრი, ბევრი გაძლიერდა
ბეჩავი და სუსტი ძალა.

უიმედოთ რათა ვკვნესით,
რათა ვბორკავთ კეთილ სურვილს;
როს გვწყურიან, სისხლს რათ არ ვსვამთ,
მით არ ვიქრობთ გულის წყურვილს.

თუნდაც დაგვბეროს ქარიშხალმა,
ააკვნესოს უტყვი გული,
თვით ზღვის ზვირთებს შეუერთოს
ჩვენი ცრემლთა ნაკადული—

მაინც წინ, წინ, შრომის შვილნო,
ჩვენი კერაც არ ჩამქრალა;
წინ, წინ! უნდა აღორძინდეს
ბეჩავი და სუსტი ძალა.

ბ. ახიასპირელი.

კიდევ ოპპორტუნიზმის მოტრფიალეს

«მოამბის» უცხოეთის მიმოხილვის ავტორი კიდევ არ სცხრება და უნდა ქვეყანა გააოპორტუნისტოს. თურმე ნუ იტყვით, ოპპორტუნიზმი «მიმოხილვის» ავტორს «ისევე სმენია», როგორც ჩვენ, მაგრამ მაინც ვერ განუსაზღვრავს ოპპორტუნიზმი არა-ოპპორტუნიზმისაგან. ავტორს მოყავს ჩვენი წერილიდან (იხ. „კვალი“ № 22) ის ადგილი, სადაც ჩვენ ვამბობთ, რომ ოპპორტუნიზმს მეტათ მშვიდობიანი ხასიათი აქვს, ენერგიულ ზომებისა ეშინიან, უარ-ყოფს უკიდურეს ზომების ხმარებას და სწორეთ ამ მშვიდობიან ხასიათით გამოიწვია მკაცრი კრიტიკა «მართლ-მორწმუნეების» მხრივ, მოყავს ეს ადგილი ავტორს და დასძენს: «არ შეიძლება ისიც გვამცნოთ ჩვენ, უვიცთ, თქვენ, მეცნიერმა, თუ რომელი მართლ-მორწმუნე თხოულობს «ენერგიულ, უკიდურეს» ზომების ხმარებას, არა «მშვიდობიან» მოქმედებას, «კანონიერების» ნიადაგზე არ დგომას?» რატომ არ შეიძლება, დიდის სიამოვნებით გამცნევთ ჩვენ—მეცნიერნი, თქვენ, უვიცთ, ოღონდ კი გულწრფელი სურვილი გამოიჩინეთ ცოდნისა. «ენერგიულ, უკიდურეს» ზომების მიღებას ქადაგებს ყოველი «მართლ-მორწმუნე», ყოველი «მართლ-მორწმუნე» ქადაგებს «არა-მშვიდობიან» მოქმედებას, «კანონიერების ნიადაგზე არ დგომას» (ენა მიმოხილვის ავტორისაა), «არა-კანონიერი» მოქმედება, ენერგიული ზომები არის ალფა ბ ომეგა მართლმორწმუნეთა მოძღვრებისა. ვიცი, ავტორი დამტკიცებას მოგვთხოვს, მაშ მეტი გზა არ არის, დავუმტკიცოთ ეს ანბანური ჭეშმარიტება. აი თვით მარქსის სიტყვები: «...ჩვენ განვიხილეთ ცოტათ თუ ბევრათ დაფარული მოქალაქებრივი ომი... იმ პუნქტამდის, როდესაც ეს ომი ცხად რევოლუციათ გადაიქცევა და ბურჟუაზიის ძალათ ჩახშობებათ საძირკველს დაუდებს პროლეტარიატის ბრძანებლობას». სწორეთ ამ აზრს ქადაგობენ «მართლ-მორწმუნეები» ხალხში, და თუ ამისთანა აზრების ქადაგებას «მიმოხილვის» ავტორი «კანონიერებას» დაარქმევს, მაშინ «უკანონობა» რაღა ყოფილა? თუ ხაზ-გასმული სიტყვები «მიმოხილვის» ავტო-

რისთვის «ენერგიულ, უკიდურეს» ზომებს არ ნიშნავს, მაშ დაგვისახელოს მაგაზე «უკიდურესი» ზომები! იქნება «მიმოხილვის» ავტორმა ისიც გვითხრას, მარქსი კი ქადაგობდა მაგას, მაგრამ არც ერთი «მართლ-მორწმუნე» არ ქადაგობსო. არც კი გაგვიკვირდება და დავუსახელებთ კაუცკის ცნობილს წიგნს, რომლითაც ყოველი «მართლ-მორწმუნე» ხელმძღვანელობს.

სანამ ზემოთ მოყვანილს აზრს არ დაგვიმტკიცებთო, გვეუბნება შემდეგ ავტორი, „მანამდე ჩვენის უვიცობით გვგონია, რომ მთელი პარტია, თავის პრაქტიკულ მოღვაწეობაში წინააღმდეგია «უკიდურეს» ზომებისა და არა «კანონიერ ნიადაგზე» მოქმედებისა და თანაც თხოულობს სოციალურ რეფორმებს ოპპორტუნისტებთან ერთათ». ამისთანა კაცს «უვიცს» რომ დაუძახებ, კიდევაც იწყენს! მაშ რა დაგარქვათ, როდესაც გაგება არ გქონიათ პარტიის პროგრამისა? წინა წერილშიც ვთქვით და ახლაც ვიმეორებთ: დიახ, პარტია თხოულობს სოციალურ რეფორმებს, მაგრამ ამ რეფორმებს კი არ სჯერდება, როგორც ოპპორტუნისტი: ეს რეფორმები პარტიას იმისთვის უნდა, რომ მუშა ხალხი უფრო გაამაგროს უმთავრეს სურვილის განსახორციელებლათ, რომ აგიტაცია უფრო კარგ ნიადაგზე დააყენოს. თავი და თავი მოღვაწეობა კი პარტიისა სწორეთ ეს აგიტაციაა და არა პარლამენტში მოქმედება. ოპპორტუნისტებს კი მხოლოთ პარლამენტში მოღვაწეობა სწამთ და მათი აგიტაცია მხოლოთ საპარლამენტო აგიტაციაა.

ის კი ესმის „მიმოხილვის“ ავტორს, რომ თუ ბებელის ოპპორტუნისტობა დაამტკიცა, მაშინ აღარავის შეეშინდება ოპპორტუნიზმისა; ამისათვის წელებზე ფეხს იდგამს და ისე ცდილობს ყველა დააჯეროს ბებელი ოპპორტუნისტიაო. მკითხველს ეხსომება, როგორ გვიმტკიცებდა ამას ავტორი: „იგი თანხმა გახდა სამხედრო მინისტრისა, რომ გერმანიის ჯარისათვის გაუმჯობესებული იარაღი შეეძინათ!“ ამაზე ჩვენ ვუპასუხეთ: თუმცა „ბებელი პრინციპიალურათ ომიანობის წინააღმდეგია, მაგრამ რადგანაც ომის გადაგდება შეუძლებელია ჩვენს დროში, უსამართლობა იქნებოდა, გერმანელი ჯარი ისე ცუდათ იყოს მოწყობილი, რომ სხვა სახელმწიფოს ჯარებმა მუსრი გაავლოსო“. «ლ. ნ. ჩვენზე ვრცლათ თითონ ამტკიცებს ბებელის ოპპორტუნისტობას», ამბობს ავტორი და ჩემს სიტყვებს ასე ხსნის: «ბებელი პრინციპიალურათ წინააღმდეგია მილიტარიზმისა, მაგრამ, რადგან ჩვენს დროში ომის გადაგდება შეუძლებელია, ბეპელი იძულებულია უღალატოს თავის პრინციპს და თანხმა გახდეს სამხედრო მინისტრისა...» უკაცრავმთ, ბ-ნო ავტორო, პრინციპის ღალატი ოპპორტუნისტებს სჩვევიათ, თორემ ეგ ბებელის საქმე არ არის! ბებელმა იცის, რომ უმეტესი ნაწილი ჯარისა—მშრომელი ხალხია და თუ არ უნდა ამ მშრომელმა ხალხმა ტიტველ-შიშველი იაროს, თუ ამ მშრომელ ხალხის გაჟლეტის წინააღმდეგია, თუ ამ მშრომელ ხალხისათვის ასატან პირობების შექმნაზე დათანხმდა,—ამას პრინციპის ღალატს უწოდებთ? მაშ ღალატს არ დაარქმევდით, ბებელს რომ ეთქვა, რადგანაც მინისტრმა სხვა სამხედრო საჭიროებებზე დახარჯა ფული, ჯარის-კაცებს არ მოახმარა, ნუღარაფერს მივცემთ, დეე, რაც უნდა მოუვიდეთ ჯარის კაცებსაო? და თქვენ, ბატონო ავტორო, ამის შემდეგ კიდევ ყვედრებით იმეორებთ «ჩვენ კი არ ვიცოდითო?»

დასასრულ, ავტორი პროტესტს მიცხადებს ჩემი წერილის კილოს წინააღმდეგ და ჩივის, ჩემს პიროვნებას ეხებიო. ვერ გამიგია, რა შუაშია აქ «ოპპორტუნიზმის თბილი კუნჭულობაო». ამასაც აგიხსნით: ამ სიტყვებით გაგაფრთხილეთ თქვენც და თქვენი მკითხველიც, «ოპპორტუნიზმის თბილმა კუნჭულებმა» არ მოგინადიროთთქო. ბევრი ხალხი მონადირა ოპპორტუნიზმმა სწორეთ თავის «თბილი კუნჭულით» და ჩვენც მაგისი შეგვეშინდა. არავის პიროვნებას ამ სიტყვებით არ შევხებივართ.

რაც შეეხება თქვენს «უვიცობას» (რაც ძალიან გწყინიათ), არც ეს არის ისე საწყენი: იქნება სხვა ყველაფერში დიდი მეცნიერი ბრძანდებით, მაგრამ ამ კითხვაში რომ არაფერი გსმენიათ, ეგ ცხადზე უცხადესია, და სწორეთ რომ «ეს თავის თავათ ცხადი და თვალსაჩინო იქნება ყოველ შეგნებულ მკითხველისთვის».

ლ. ნ.

ჟურნალ-გაზეთებიდან

რამდენათ წინ მიდის და იზრდება წარმოება, იმდენათ მწვავდება მწარმოებელთა შორის კონკურენცია, იმდენათ იზრდება ექსპლოატაცია იმ პირთა, რომელნიც დამოკიდებულ მდგომარეობაში იმყოფებიან. საკუთარი ინტერესების დაცვა, გამწვავებულ კონკურენციის ბრჭყალებიდან გამარჯვებული გამოსვლის სურვილი აიძულებს მათ ერთი მეორეზე უფრო მეტათ შეავიწროვონ დაბალი მოხელენი... „იუჟ. ტელეგრ.“ დაბეჭდილია ფინანსთა სამინისტროში წარდგენილი მოხსენება ნოქრის ტიმოთე ეფიმოვისა ნოქრების დასვენების და სამუშაო დღის შესახებ: მოხსენებაში სხვათა შორის ასეა დახასიათებული ხაზეინების და ნოქრების ურთიერთობა.

„17 წლის განმავლობაში მე ვემსახურები ვაჭრობის ღმერთს. სხვადასხვა ფირმებში სამსახურით მე შემოვიარე თითქმის მთელი რუსეთი, კარგათ ვიცნობ ნოქრების ყოფა-ცხოვრებას და ბევრიც დამიწერია ამ დაბეჩავებული და მივიწყებული ხალხის დასაცველათ.

„ვაჭრობის ევოლუცია ქმნის სულ მეტსა და მეტს არმიას ნოქართა კოორპორაციისა. მარტო მოსკოვში მათი რიცხვი 200 ათასამდე უწევს, მთელ რუსეთში კი მილიონობით ითვლება. ისინი რიცხვით ნაკლები არ არიან მაგ. ფაბრიკის მუშებზე... მარა ყველა ისინი ხელოვნურათ განთვისებული არიან, მონებივით დაჩაგრული, უზრუნველყოფილი... მე ვამბობ „ხელოვნურათ განთვისებული“. დიახ, ეს ფაქტია. ყოველ ხაზეინს, აქვს „საკუთარი პოლიტიკური შეხედულება“ შემუშავებული მრავალწლოვან პრაქტიკულ ცხოვრებით, ის შეამჩნევს თუ არა, რომ ნოქრების ერთი ნაწილი ერთიმეორეში მეგობრულათ ცხოვრობენ და კეთილ განწყობილებაში არიან,—მაშინვე საგონებელს ჩავარდება. მისი აზრით ეს ნიშნავს, რომ ნოქრებს ან მისი გაქურდვა უნდათ, ან მოლაპარაკება, გაფიცვის გამართვა და სხვა ამგვარი. „ეს არ მარგია“. ფიქრობს ის და იგონებს სხვადასხვა ზომებს მათ ერთმანეთში წასაკიდებლათ. ერთს სრულებით ითხოვს ადგილიდან, მეორეს მიიწვევს თავისთან და მზაკვრულათ ეუბნება: „მიხა, კაცო, შენ შინაური კაცი ხარ, ათი წელიწადია ჩემთან მსახურებ, მე შენ გენდობი; მაგრამ გრიშა კი ახალი კაცია, ვატყობ, რომ არასაიმედო პირია, გაიძვერაა... მოპარა არ დაიწყოსო“... შემდეგ გრიშას იწვევს და ისეთსავე სიტყვებს ეუბნება: „შენ გატყობ, პატიოსანი ყმაწვილი ხარ, მიხა კი აგერ ათი წელიწადია მსახურებს, მარა ნდობით მაინც ვერ ვენდობი, გამძვრალი კაცია... მე შენ უფრო გენდობი... მარა ის შენზე ცუდს მეუბნება“.—რას ცხარობს გრიშა, რა უნდა თქვას ჩემზე რა აქვს სათქმელი?—ნუ ცხარობ, ის ამბობს, რომ შენ არ მსახურობ რიგიანათ... ხაზეინის ინტერესებს არ იცავ და სხვ. მე არ მწამს, მე შენ გენდობი... მარა შენ ნუ ეტყვი, რაც გითხარი, შენ იმაზე თვალი გეჭიროს, ის... სხვანაირია... კარგი?.. „ეგ მე ვიცი, ვაჩვენებ იმას.“—გაიძახის გრიშა.

„ასეთნაირსავე ეუბნება მესამეს, მეოთხეს, მეხუთეს და ყველა ნოქრები შეუგნებელი, გულუბრყვილო ბავშვივით უჯერებენ ხაზეინს. ამ ნაირათ ისინი რჩებიან განთვისებული, მათ შორის იბადება შური, მტრობა, ერთმანეთის თვალ-ყურის გდება, ბეზღაობა. ამას აღწევს სულმდაბალი ხაზეინის „მოხერხებული პოლიტიკა“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავისთავათ ცხადია, რომ ასეთ განცალკევებულ, დაქიშპებულ ნოქრების ინტერესები ყოველთვის გაქელილი დარჩება. ისინი ერთი-მეორეს დაჭამენ და სარგებლობა კი აქედან მხოლოთ ხაზეინს ექნება. პოლიტიკა მეტათ მოხერხებულია, გაიძვერული და ფლიდი... და ამ გაიძვერულ ხრიკებისაგან ნოქრების განთავისუფლება შეუძლია მხოლოთ მეტ შეგნებას, მეტ თვალების ახელას... თუ ხაზეინები ცდილობენ ისინი ერთმანეთს ჩამოაშორონ და ამ გვარათ უფრო ინტენსიურათ ისარგებლონ მათი შრომით, ისინი უნდა ეცადონ მჭიდროთ დაუახლოვდენ ერთიმეორეს, მხარი მხარს მისცენ და საერთოთ დაიცვან თავი ხაზეინთა გადამეტებულ ექსპლუატაციისაგან.

*
* *

არც ერთ მრეწველობის დარგში არ არის შრომა ისეთ ცუდ პირობებში ჩაყენებული, როგორც წვრილ წარმოებაში. დღეს ეს ყველასათვის თვალ საჩინოა, მარა მიუხედავათ ამისა წვრილი სახელოსნოები უფრო უყურადღებოთ არის დატოვებული, ვიდრე მსხვილი ფაბრიკა-ქარხნები.

„დიდი ხანია ლაპარაკობენ ხელოსანთა მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ. მათში მართლა ძველი პირობებია. მუშაობენ სახელოსნოებში 14—16—18 საათს, კვირა-უქმეებში დასვენება არ შეუძლიათ, სასყიდელი ძალიან ცოტა ეძლევათ, მუშაოპის პირობანი საძაგელია, დამოკიდებულება ხელოსანთა და სახელოსნოების პატრონთა შორის გაწესრიგებული არ არის და სხვა და სხვა. ყველა ამის გასაგებათ საჭირო არ არის გაზეთების კითხვა, საჭიროა ცხოვრებას დაუკვირდეთ თქვენ გარეშემო და ყველაფერს დაინახავთ.

„შრომის პირობათა სიძნელე უმთავრესათ წარმოსდგება სადგომის უვარგისობისგან. სახელოსნოები ყოვლათ უვარგისია: არც ვენტილიაცია, არც სისუფთავე, არც სინათლე და არც სხვა რამე. იქვე მუშაობენ და იქვე იძინებენ.

„შრომის მცირე სასყიდელს იწვევს ხელოსანთა მომუშავეების კონკურენცია და სახელოსნოების პატრონთა ბოროტ მოქმედებანი. პატრონნი იყვანენ ბევრ შეგირდებს, ამუშავებენ დიდხანს უსასყიდლოთ და ფასს ამნაირათ ამცირებენ“.

*
* *

„ცნობის ფურცლის“ კორესპონდენტი ხ. ნ. ჯ—შვილი მართლა ცოტა რამეს გვეუბნება გურიის სკოლების შესახებ და იმასაც აბნეულათ; სწავლა რომ ქალებისათვისაც საჭიროა, ეს არა თუ გურიაში, ყველგან ცხადი გახდა და თუ „გურიაში ორი საქალებო სკოლის მეტი არ მოიძებნება“ (თუმცა სამი ეხლა კი არა კაი ხანია არის: ლანჩხუთში, ხიდისთავში და აცანაში), განა ამაში გლეხებია დამნაშავე? არა, მიზეზი სულ სხვაა და ისიც უნდა ვთქვათ თუ რაა ხელის შემშლელი. სილარიბე, სილარიბე და კიდევ სილარიბე. „თუ ორ კლასიან სკოლაში კურს დამთავრებული სოფლათ დარჩა—ან ყანა უნდა იმუშავოს, ან ტიკი წაიღოს, ან აგური აკეთოს და ასეთი საქმით ირჩინოს თავი.—ამ გვარი შრომის გამო ხშირათ მას ავიწყდება ის რაც ორკლასიან სკოლაში შეუძენიაო.—ცოდნას ვერც თითონ იყენებს და ვერც სხვას უზიარებსო,—ამბობს ბ. კორესპონდენტი. ასე რომ მისი აზრით სოფლის სკოლაში ნასწავლი, სოფლათ დარჩენილი უვიცი ელემენტია, შეუგნებელი მუშა. ვექვობთ რომ ეს მართალი იყოს!

ღ ი ა წ ე რ ი ლ ი

ირაკლი ივანეს ძე რამიშვილს.

რადგანაც თქვენ თანხმობა განაცხადეთ ჩვენ წინადადებაზე, ჩვენი მხრით მედიატორეთ ვასახელებთ ჯუმათის ორ-კლასიან სასწავლებლის ზედამხედველს ალექსანდრე მიხაილის ძეს მათიაშვილს. რაც შეეხება თავმჯდომარეს, ეს იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ ვის დაასახელებთ თქვენი მხრით მედიატორეთ. ამიტომ ან თქვენ წამოაყენეთ კანდიდატურა თავმჯდომარის და ან თვით მედიატორებს მივანდოთ ეს; წინააღმდეგ შემთხვევაში მისი ამორჩევა დაგვიგვიანდება, რადგან როგორც თქვენც იცით, ჩვენ სხვადასხვა ადგილას ვცხოვრობთ და უბრალო მოლაპარაკებისათვის კვირეები გვჭირდება და სწორეთ ამან გამოიწვია პასუხის დაგვიანებაც.

დაჯშთებით თქვენი პატივისმცემელნი ნოე რამიშვილი
2 ივლისი. და სერაპ. რამიშვილი.

წერილი რედაქციის მიმართ.

ბატონო რედაქტორო![*]

ამ დღეებში შემთხვევით გავიგე, რომ თქვენი გაზეთის მეოცე ნომერში მოთავსებულია კორესპონდენცია სოფელ საჩხერედან (სამეგრელო), რომლის ავტორი, «ოტიას» სახელით, სრულიად უსაფუძლო და გადამახინჯებულ ცნობებს იძლევა ამ სოფელში მომხდარ ზოგიერთ შემთხვევების შესახებ, უმთავრესათ ნებას აძლევს თავის თავს საყოველთაოთ უშვერი ცილი დასწამოს ყველასაგან პატივცემულს და თავის ცხოვრებით და სულიერი მოღვაწეობით გამოჩენილ მღვდელ-მონაზონ მ. ალექსის (შუშანია).

ცხადია, რომ აღწერილი შემთხვევები ავტორს გაუგონია უჭკუო და უსინდისო პირისაგან, რომელსაც აზრად ქონია შეურაცხყოს ეს საუცხოვო და ჩვენ დროში იშვიათი მოღვაწე, რომელმაც მთელი თვისი სიცოცხლე ღვთის მსახურებას და მოძმის კეთილ-დღეობას შესწირა. სასტიკი ბერულ ცხოვრებით მ. ალექსი (შუშანია) განთქმულია არა მარტო სამეგრელოში, არამედ უმაღლეს სასულიერო პირებშიაც, მათ რიცხვში საქართველოს ექსარხოსი, მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესი ალექსი და სხვ., რომლებმაც კარგათ იციან მ. ალექსის ღვთისმოსავი და პატიოსანი ცხოვრება.

და აი ამისთანა ყველასაგან პატივცემულ სასულიერო პირის შესახებ ვიღაც «ოტია» ავრცელებს უშვერ და მიუტოვებელ ცილის წამებას.

თუმცა სრულებით არ მქონდა ეჭვი, რომ ცნობები, რომელნიც კორესპონდენციაშია მოთავსებული მ. ალექსის შესახებ, უსაფუძვლო ცილის წამება იყო, მაგრამ მე, როგორც მთავრობის წარმომადგენელმა მაზრაში, მოვახდინე ამის შესახებ გულ-მოდგინე გამოძიება, რომლითაც აღმოვაჩინე შემდეგი დაურღვეველი ჭეშმარიტება.

ოთხი წლის წინეთ გარდაიცვალა სოფ. თეკლათის მცხოვრები კოტატია ფარცვანია. 8—9 თვის შემდეგ იმის სიკვდილისა, მამა ალექსისაგან განახლებულ მონასტერში მცხოვრებ 80 წლის მოხუცი—მორჩილმა პავლე ნანეიშვილმა, ორჯერ თუ სამჯერ შეხვედრის დროს უთხრა გარდაცვალებულის შვილს იულონ ფარცვანიას, რომ იმან და მისმა ნათესავებმა ილოცონ მის მამის სულის მოსახსენებლათ, რადგანაც გარდაცვალებული არ იყო ცნობილი ღვთის მორწმუნებით და კეთილის საქმით. მასთან იგივე მორჩილი ურჩევდა გარდაცვალებულის შვილს, რომ ის წასულიყო მ. ალექსისთან და ეთხოვა იმისთვის ლოცვა მის მამის სულის მოსახსენებლათ, მასთან აუხსნა, რომ მ. ალექსი ატარებს წმინდა ცხოვრებას და რასაკვირველია მისი ლოცვა შეწყნარებული იქმნება ღვთისაგან. ამ ლაპარაკის დროს ნანეიშვილმა უთხრა გარდაცვალებულის შვილს, რომ მძიმე ცოდვებიანების გვამს მიწა არ დებულობს და ამიტომ საჭიროა ხშირი ლოცვა, განსაკუთრებით იმისთანა წმინდა პირებისა, როგორიც მ. ალექსია.

---

[*] ეს წერილია დაწერილი სენაკის მაზრის უფროსის ბლანკზე და უზის № 1356. მივიღეთ რუსული დედანი და ქართული თარგმანი იმავე №-რის. თარიღით და ხელმოწერილი თვით მაზრის უფროსის მიერ, რომელიც იბეჭდება უცვლელათ. რედ.

ამის შემდეგ იეულონ ფარცვანიამ წარმოიდგინა, რომ მამა მისი უეჭველად მძიმე ცოდვილი უნდა იყოსო და გარდასწყვეტა, ამოეთხარა საფლავი და ენახა გვამი მამისა, მით უმეტეს, რომ ნათესავები და შესაძლებელია დრმად მოხუცებული მორჩილი ნანეიშვილიც ეუბნებოდენ მას, რომ მძიმე ცოდვილთ ეზრდებათ თმები და ფრჩხილები და მიწისაგან მიუდებელი რჩებიანო. გარდაცვალებულის შვილმა იეულონმა მისი მეზობლების: უტუ კუბრეიშვილის, კოჯორე და მენიას, პავლე დომენიას და კიდევ ერთი ვიდაცას დახმარებით საფლავი მართლაც ამოთხარეს. რასაკვირველია ამას არ დასწრებია არამც თუ მამა ალექსი, არამედ მორჩილი ნანეიშვილიც. არც ერთი ნათესავები გარდაცვალებულის ფარცვანიასი არ მისულან მ. ალექსისთან და არც გაუგონიათ მისგან, ვითომც მას გამოცხადებოდეს მთავარ-ანგელოზი გაბრიელი და არც სხვა რამე ის უთავბოლო სისულელე, რომელიც კორესპონდენციაშია ნაჩვენები. ადვილათ შეიძლება, რომ ჯკუიდან გადმდგარი 80 წლის მოხუცი-მორჩილი პავლე ნანეიშვილი, თავის გუნათლებლობით და გუგებრობით კიდევაც ამბობდა რასმე მ. ალესის სიწმინდეზე, მაგრამ ეს რომ თვით მ. ალექსის პირად მონაწილეობას მიაწერონ კაცმა მეტის-მეტი სისულელე იქნებება.

მ. ალექსი ცხოვრობს განცალკევებით, არავის არ დებულობს და იმისი ნახვაც არა ეოველთვინ შეიძლება; ფულს სრულებით არ დებულობს და არც აგრეთვე არავითარ საქველ-მოქმედო დაწესებულებებისათვის. თეკლათის დედათა მონასტერში ახლაც ცხოვრობს მონაზონი პარასკევა სიხარულიძე, რომელიც რაღაც გამოურკვეველი ავადმეოფობით იეო ავათ. დიდხანს იწამლა, მაგრამ ვერაფერმა ვერ უშველა, ბოლოს ამ ხუთი წლის წინათ მიმართა მამა ალექსის და სთხოვა ელოცა მისთვის; ალექსის ლოცვის შემდეგ მონაზონმა უკეთ იგრძნო თავი და ჩქარა სრულებით მორჩა.

ვიცნობ რა პირად მ. ალექსის, როგორც კაცს თავის ცხოვრებით დირსს პატივისცემისა, მე მიმაჩნია ჩემ ზნეობრივ მოვალეობათ ადვადგინო სიმართლე და დავარდვიო ის უშვერი ცილის წამება, რომელიც ვიღაც «ოტიამ» თქვენ პატივცმულ ჟურნალში მოათავსა.

გარდა ამისა გთხოვთ, მოწყალეო ხელმწიფევ, შემატყობინოთ სიიდან არის შეკრებილი ცნობები, მოთავსებული ხსენებულ კორესპონდენციაში და აგრეთვე ვინ არის ბ. «ოტია»—ავტორი იმ კორესპონდენციისა, რომ მით მომეტეს შეძლება მივცე იგი პასუხის გებაში ცილის წამებისათვის.**)

გთხოვთ ამ წერილს ადგილი დაუთმო თქვენის გაზეთის მახლობელ ნომერში, როგორც დამარდვეველს ვიღაც «ოტიასაგან» გავრცელებულ არ მომხდარ შემთხვევისა.

ბ. რედაქტორო!

„ცნობის ფურცლის“ მე-2181 №-ში მოთავსებულია ახალ ამბებში მცირე შენიშვნა „გაკუპებული“ შემთხვევითი რეპორტიორისა, რომელიც 8 ივნისს გამართული წარმოდგენის შესახებ ამბობს: „არც სცენა ვარგოდა, არც დეკორაცია და არც თვით წარმოდგენაო“. შეიძლება ქუთაისის სცენასთან და დეკორაციასთან შედარებით მართალიც „არ ვარგოდა“, მარა საზოგადოება დიდი კმაყოფილი დარჩა ამ წარმოდგენით წინა წარმოდგენებთან შედარებით; და თქვენ, ბატონო რეპორტიორო სცენის მომწყობთ დახმარებოდი ის არ ჯობდა ამ უსაბუთო შენიშვნის ჯლაბნას? სხვას რომ თავი დავანებოთ—ქუთაისის სცენაზე ვინ-ხვეთ ეს თესი გრიმი? თუ „კომპლიმენტებია“ მიზეზი თქვენი „გაკუპებისა“? მახლას!

ა—ლაშელი.

დრ. რედაქტორი — **ნ. ი. ალექსიეგ-მესხიეგი.**

გამომცემელი — **ან. მ. თ.-წერეთლისა.**

**) იმის თქმა, თუ როგორ და რა გზით შეკრიბა კორესპონდენტმა მის მიერ მოწოდებული ცნობები, რედაქციას, რასაკვირველია, არ შეუძლია. არ არის აგრეთვე მიღებული კორესპონდენტის ან სხვა თანამშრომელის ვინაობა რედაქციამ აცნობოს გარეშე პირთ, ამიტომ სენაკის მაზრის უფროსის თხოვნას რედაქცია ვერ შეასრულებს. რაც შეეხება «ოტიას» პასუხის გებაში მიცემას. ეს თვით მ. ალექსის საქმეა და ამაში გარეშე პირთა ჩარევა მეტი იქნება, მით უმეტეს, რომ ბეშმარიტების აღსადგენათ რედაქცია უცვლელათ ბეჭდავს მაზრის უფროსის წერილს. რედ.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა ნ ი

მიიღება ხელის მოწერა

საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო

ნახატებიან გაზეთ

„კვალ“-ზე

(წელიწადი მეთერთმეტე)

გაზეთი გამოვა ყოველ კვირა დღეს 1—3 თაბახამდე.

გაზეთი წლიურათ ღირს თფილისში 7 მან., თფილისს გარეთ 8 მან., ნახევარი წლით თფილისში 3 მ. 50 კ., თფილისს გარეთ 4 მან., ხოლო სამი თვით 2 მან. თითო ნომერი სამ შაურათ. ადრესის გამოცვლა თფილისს გარეთ ღირს ორ აბაზათ.

ხელის მომწერლებს შეუძლიანთ გაზეთის ფასი ნაწილ-ნაწილადაც შემოიტანონ.

ხელის მოწერა მიიღება: თფილისში, წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიაში (სასახლის ქუჩა, თავად-აზნაურობის ქრგასდა); რკინის გზის სადგურზე პირველ კლასის ბუფეტში, ესტ. ჩხარტიშვილთან და თვით «კვალის» რედაქციაში.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ. Редакція „КВАЛИ“.

ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის დ. ა. ვედეანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დ ი ღ ი თ:

ნ. ტ. მულინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირისა 9—10 საათაადე.

ვ. დ. ღამბაშიძე—შინაგანი: ორშაბათობით, ოთხშ. და შაბათობით 10—11 ს.-მდე.

დ. ა. გედევანიშვილი—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 11—1 ს.

ვ. მ. მანსვეტოვი.—შინაგანი, ნერვებისა ბავშვებისა: სამშაბათობით და შაბათობით. 10—12 საათამდე.

ბრ. ვ. სოგბოლევსკი—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკევობი და შაბათობით 1—2 საათ.

სამკურნალოს აქვს 20 საწოლი ოთახი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები მორიგებით. კრაოტები სამი მანეთიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟევსკის ქუჩა, სახლი აბრამოვისა, № 9, მიხეილის ქუჩიდან კი 35 Б.

ტელეფონი № 274.

Дозволено цензурою, Тифлисъ, 12-го іюля 1903 г. — ს ტ ა ბ ბ ე ქ. ივ. ხელაძისა. — Тип. Е. И. Хеладзе, Русскій базаръ, д. Арм. Дух. Семинаріи.